# საერთო გაზეთი

№39 (544) • 13 ნოემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

**წერილები პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას**

**რა სპექტაკლი დადგა ორმა აფერისტმა, ცაავამ და გვარამიამ, „მთავარი არხის" საკვირაო გადაცემაში?**

**ჰაერის ძეგლი ლევან ვასაძისთვის**

რატომ ცრუობს ვასაძე?

**აკინის კინო**

სულ ცეკვა-ცეკვით უნდა გაგაპიდარასტოთ, ქართველებო – აი, რას გვეუბნება აკინის კინო

**რომელი ნოტი აუვარდა თავში ანიტა რაჭველიშვილს?**

**პეტრე და ეშმაკი**

**თავზარდაცემულები**















**პეტრე ცაავა – „ციანიდი-2"-ია, რომელიც მთელ ქვეყანას უპირებს მოწამვლას**

**ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული შეტევა 20 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა**

**ნუთუ ვერ ხვდებიან, ვასაძე, ფალავანდიშვილი და სხვები, რომ აკინის გეი-ფილმის ცოცხალ რეკლამად იქცნენ?**

**საქართველოს ენერგობაზარი ქორვაჭრებმა მიიტაცეს, რომლებიც მოსახლეობას სინდისოდ ყვლეფენ**

**ოცდაერთი გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის**

## ამ ქვეყანაში კანონი რომ კანონობდეს, პეტრე ცაავა ციხეში უნდა იჯდეს

# რა სპექტაკლი დადგა ორმა აფერისტმა, ცაავამ და გვარამიამ, „მთავარი არხის“ საკვირაო გადაცემაში?



კვირას ნიკა გვარამიას თავის საავტორო გადაცემაში მეუფე პეტრე ჰყავდა მიწვეული.

საუბარმა ლამის სამი საათი გასტანა. სტუმარი და მასპინძელი თითქმის ყველა საკითხს შეეხნენ.

გადაცემის დამთავრების შემდეგ გულუბრყვილო და ზედმეტად მიმნდობ მაყურებელს, შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომ ეს მეუფე პეტრე არც თუ ისე ცუდი კაცია, როგორც ამას მისი მტრები და პატრიარქის ქომაგები წარმოაჩენენ, თუმცა ეს არ იყო მთავარი „ღამის მთავარის“ ამ გადაცემაში.

ეს გადაცემა, ფაქტობრივად, იყო წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომლის მთავარ რეჟისორს გვარამიას და მთავარ პერსონაჟს ცაავას, მიზნად ჰქონდათ დასახული, მაყურებელი დაერწმუნებინათ, რომ მეუფე პეტრე ნაციონალების კაცი კი არა, „ქართული ოცნების“ კაცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა „ქართულ ოცნებასთან“, აქტიურად ეხმარებოდა მას არჩევნებში და რაც უპირველესი და უმთავრესია, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა თვით ბიძინა ივანიშვილთან.

გვარამიას მიერ, (ალბათ, ცაავასთან ერთად და მასთან შეთანხმებით), მოფიქრებული სამოქმედო გეგმა მარტივი იყო — გვარამია დასვამდა ცაავას მაკომპრომეტირებელ კითხვებს, რომელშიც გამოიკვეთებოდა ცაავას კავშირები „ქართულ ოცნებასთან“. ცაავა კი ამ კითხვებში გამოთქმულ აზრს არ უარყოფდა და ამ კავშირებს დაადასტურებდა.

**გვარამიამ ჰკითხა და ცაავას არ უარუყვია**, რომ საპარლამენტო არჩევნებში აქტიურად უჭერდა მხარს „ქართული ოცნების“ წევრს ოთარ დანელიას, რომელიც, მისი აზრით, ძალიან წარმატებული მინისტრი იყო.

**გვარამიამ ჰკითხა და ცაავას არ უარუყვია**, რომ აქტიურად ერეოდა რეგიონის საკადრო პოლიტიკაში და მისი რჩევით და რეკომენდაციით, „ქართული ოცნება“ ადამიანებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ნიშნავდა.

**გვარამიამ ჰკითხა და ცაავას არ უარუყვია**, რომ რამდენჯერმე შეხვდა გიორგი გახარიას, რომელიც, მისი აზრით, გარემოებათა მსხვერპლია.

**გვარამიამ ჰკითხა და ცაავას არ უარუყვია**, რომ შეხვედრები ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან, სადაც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და მათ შორის ციანიდის საქმესთან დაკავშირებით ისაუბრეს.

გვარამიამ რამდენჯერმე უარყოფით კონტექსტში აგრესიული ტონით მოიხსენია ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ცაავა არც ერთხელ არ დაეთანხმა გვარამიას შეფასებებს. პირიქით, მას არც დაუმალავს, რომ ლოიალურად არის განწყობილი ივანიშვილის მიმართ.

მოკლედ, რომ ვთქვათ, გვარამიამ ძალიან ბევრი ისეთი „ჩამჭრელი“ კითხვა დაუსვა ცაავას, რომლითაც ცაავა, ფაქტობრივად, „ამხილა“ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობაში.













სამაგიეროდ, გვარამიას არც ერთი კითხვა, ხაზგასმით ვამბობთ, არც ერთი კითხვა არ დაუსვამს პეტრე ცაავასთვის მისი საქვეყნოდ და საყოველთაოდ ცნობილი ძმობისა და მეგობრობის შესახებ, რომელიც მას „ნაცმოძრაობასთან“ აკავშირებდა.

**გვარამიას არ უკითხავს ცაავასთვის**, რატომ ეკიდა კაბინეტში სასულიერო პირს, მღვდელთმთავარს, მიხეილ სააკაშვილის პორტრეტი, ან რატომ მეგობრობდა ცაავა პროკურორ ახალაიასთან და მის ოჯახთან.

**გვარამია არ დაინტერესებულა**, სწორედ ცაავას რეკომენდაციით და შუამდგომლობით ხომ არ დააჯილდოვა პროკურორი როლანდ ახალაია საპატრიარქომ ოქროს ჯვრით?

**გვარამიას არც ის უკითხავს ცაავასთვის**, რატომ არასდროს აღშფოთებულა იგი იმ რეპრესიებით, რასაც „ნაცმოძრაობა“ სამეგრელოში ატარებდა და რატომ არ ქცეულა მისი, როგორც მეუფის და მიტროპოლიტის განსჯის საგნად სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი შემზარავი ფირების ამბავი.

**გვარამიას არ უკითხავს ცაავასთვის**, იყო თუ არა მისი რეზიდენცია ნაცჯალათების თავშესაფარი და მართლა მან გადააპარა თუ არა საზღვარზე ძმები ახალაიები, მეგის ქარდავა და სხვები.

დასკვნის სახით რომ ვთქვათ, ნიკა გვარამიას არც ერთი კითხვა არ დაუსვამს პეტრე ცაავასთვის, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მის მჭიდრო მეგობრობას და თანამშრომლობას შეეხებოდა.

როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო სურვილი, რომ პეტრე როგორმე „ქართული ოცნებისთვის“ მიეწებებინა, ათას ღობეზე გადამხტარ გვარამიას პიარტექნოლოგიების ელემენტარული კანონები დაავიწყდა და იმის დამალვა სცადა, რაც არ იმალება და რაც ყველასთვის ცნობილია.

გვარამია გაბანძდა და ამ გადაცემით, ისედაც გაბანძებული ცაავა კიდევ უფრო გააბანძა.

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ — ამ ორ აფერისტს ეს ანდაზა მაინც არ მოუსმენია, საქართველოს მოტყუებას და გაცურებას რომ ლამობენ ღია ეთერში.

ის, რაც 10 ნოემბერს ვნახეთ „მთავარში“, ეს იყო პრიმიტიული, უნიჭო, ბანალური სპექტაკლი, ორი თვალთმაქცი მსახიობის შესრულებით, რომლის მიზანი იყო პეტრე ცაავას გალაშქრება პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის შეკვეთად გაესაღებინათ, თუმცა სპექტაკლი ჩავარდა, უფრო ზუსტად, ჩაფლავდა.

ასე იცის ზედმეტმა მონდომებამ და სინდისზე უარის თქმამ.

რამდენიც გინდათ იმდენი ხეხეთ ერთმანეთი „მთავარის“ აბანოში, მაინც არაფერი გამოგივათ — არ გათეთრდების ყორანი, არა!

**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# წერილები პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას

## (წერილი პირველი)



**ბატონო გიორგი**, როდესაც თქვენ პრემიერად გაწინაურებდნენ და პარლამენტში ერთგვარ ანგარიშს აბარებდით, მაშინ თქვით, ქვეყანაში აუცილებლად უნდა აღდგეს სამართლიანობა და წესრიგიო. სამართლიანობის აღდგენაზე რა მოგახსენოთ, ეგ ძალიან რთული თემა გამოდგა „ქართული ოცნებისთვის", მით უმეტეს, გარედან შემოგდებული კოჰაბიტაციის ფონზე, მაგრამ აი, მე და ჩემნაირებს წესრიგის აღდგენის იმედი კი ნამდვილად გვქონდა და იმასაც გეტყვით, რომ იმედი ჯერაც არ დაგვიკარგავს. მოდით, ამ ეტაპზე, როგორც შესაძლებელია, ბოლომდე გავხსნათ კარტები და ვაღიაროთ, წესრიგი უპირველესად დასამყარებელია რეგიონულ მმართველობებში, მერიებსა და საკრებულოებში, სადაც ისევ ის ხალხია მოკალათებული, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური დაუდევრობით, ღალატით თუ უვიცობით, პირწმინდად წააგო, ხოლო მეორე ტური, სულ სხვა ხალხმა ძველ გვარდიაზე დაყრდნობით – მოიგო. მე პირადად ვარ ამ ბატალიების მოწმე, რადგან როცა მივხვდი, კალამი აღარ შველოდა საქმეს, წავედი ჩემს მშობლიურ სიღნაღში და ფიზიკურად ჩავერიე, ანუ ჩემნაირებთან ერთად ვიშრომე, ვიომე და მოვიგეთ. დამთავრდა თუ არა არჩევნები, მეგონა, მოღალატეებს, უვიცებსა და დაუდევრებს რეგიონებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აღარავინ გააჩერებდა, მაგრამ შევცდი, მათ შეშინებული სიფათები ისევ "დაილაგეს", ძველებურად მედიდური იერი დაიბრუნეს და ჰეეე... კვლავაც განაგრძეს "ბაირამობა" დუდუკის თანხლებით, ანუ ძალაში დარჩა თანამედროვე "ანდაზა": არჩევნებს სხვები იგებენ, შემდეგ კი ბოზებს მიჰყავთ "პარადი". არ გეგონოთ, "პარადი" უფასოდ, უანგაროდ მიჰყავდეთ, ამ ყველაფერს თან ახლავს საბიუჯეტო თანხების ფლანგვა-გლეჯვა „მე ვარ და ჩემი ნაბადი"-ს პრინციპით. რასაც ცენტრალური ხელისუფლება, ანუ ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეგიონებში აკეთებს, ჩემი აზრით, არის უპრეცედენტო – გზები, წყალი, დენი, გაზი, ახლა რომ გადის სოფლებში, წინა ე.წ. წარმატებული რეჟიმის დროს ამის ნახევრის ნახევარიც არ გაკეთებულა, ამ შემთხვევაში მე გესაუბრებით ადგილობრივ უსაქმურ, მაგრამ მადაგაზრდილ პოლიტიკურ თვითმმართველობებზე. სხვათა შორის, ბოლო სამი-ოთხი თვის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა და რამდენიმე მინისტრმა ინტენსიურად დაიწყეს შეხვედრები რეგიონებში. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ პარლამენტში დაიდო და მამუკა მდინარაძემ გააჩმოვანა კიდეც რაღაც კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს „ქართული ოცნება" იგებს 60%-ით. მდინარაძემ განაცხადა, ჩვენ გვაქვს შეხვედრები რეგიონებში და ვიცით მოსახლეობის განწყობაო. ჯერ ერთი, ცოტა ნაადრევია პროცენტებზე ლაპარაკი და მეორეც – თუ ეს ციფრი იმ მოჩიჩოვნოკო ელემენტებზე დაყრდნობით არის მოპოვებული, ჩათვალეთ, იგივე განმეორდება, რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში და შემდეგ ისევ ბიძინა ივანიშვილს მოუწევს ზომების მიღება.

ვის ხვდებიან თქვენი თანაგუნდელები რეგიონებში? ისევ მათ და მათ მიერ მოყვანილ ადამიანებს, რომლებსაც კრიტიკულ მომენტში ცალი ფეხი ისევ „ნაციონალებში" აქვთ. გითხარით, მე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ფიზიკურად ჩავერიე-მეთქი და რაკი ჩავერიე, საკუთარი თვალით ვნახე, რა „დურდომი" სუფევდა რეგიონებში. ამას წინებზე კახეთის ერთ-ერთ რაიონში რაღაც ზეიმი ჩატარდა, იყო მწვადაობა და ღვინოში წუნწკლაობა ვითომც დიდად შესარგი, მაგრამ კინაღამ გული გამისკდა, როცა საქეიფო ფრონტზე ისევ ის ხალხი დავინახე, ვინც არჩევნები განგებ (დაუდევრობით, ღალატით, უნიათობით, უვიცობით) წააგო. გამოდიოდნენ სიმაღლის მიხედვით და ჰყვებოდნენ, თუ როგორ უყვართ სამშობლო, რომ არ სძინავთ დღე და ღამ მამულზე ფიქრით, რა საყვარლები არიან და ასე შემდეგ. იქ ერთი ადამიანიც კი ვერ დავლანდე, რომელმაც არჩევნებში თავი გადადო, იმუშავა, ირბინა, ხალხს შთააგონა, რომ სისხლისმსმელების მობრუნება იქნებოდა კატასტროფა. არა, ბატონო გიორგი, ასეთებს არც დეპუტატებს შეახვედრებენ, არც მინისტრებს, არც ბიძინა ივანიშვილს და არც თქვენ. აგერ, ბატონი ბიძინაც ჩავიდა რეგიონებში, შეხვდა ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, წევრებს, აქტივისტებს, მაგრამ სინამდვილეში მათი უმეტესობა გახლავთ ტაშის დამკვრელი და მლიქვნელი. ღმერთმა დამიფაროს, ყველაზე ასეთი წარმოდგენა მქონდეს – არა, ასე არ არის, შიგადაშიგ არიან პატიოსანი, გულანთებული, ალალი მხარდამჭერებიც, მაგრამ საბოლოო ჯამში, როცა საქმე საქმეზე მიდგება ხოლმე, ისინი ამინდს ვერ ქმნიან. მაგალითად ავიღოთ აჭარა, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა თანხების გაფლანგვა და საწვავის ასევე უგვეირათო ხარჯვა თუ მითვისება. სხვათა შორის, საწვავი ძალიან "მტკივნეული" თემაა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვისაც, ვისაც ხელი მიუწვდება, მერები არიან, ბერები თუ საკრებულოელები, ტონობით ხარჯავენ. ზოგი იმდენს ხარჯავს, დედამიწას შემოუვლის ბარე ცხრაჯერ. ჰოდა, მეგონა, ეს ამბებიც "გასკდებოდა" დამნაშევეები დაისჯებოდნენ, წესრიგი დამყარდებოდა, თუმცა თქვენც არ მომიკვდეთ, მყვლეფავმგლეჯავები ისევ დარჩნენ და განაგრძობენ ძველებურად ბაირამობას დუდუკის თანხლებით!

ბატონო გიორგი, რეგიონების თემას უახლოეს მომავალში კიდევ არაერთხელ დავუბრუნდები და კონკრეტულ ფაქტებსაც დაგიდებთ, ახლა კი გადავიდეთ სააფთიაქო მაფიაზე, რომელიც შავ დღეში ამყოფებს ჩვენს მოსახლეობას. სხვათა შორის, როდესაც პრემიერობისას ბიძინა ივანიშვილი შეხვდა თეთრხალათიან ყაჩაღებს და შეკამათებაც მოუხდა წამლების შემოტანასთან დაკავშირებით, ყველას გვეგონა, ეს იყო დასაწყისი მათი ალაგმვისა, მაგრამ ასე არ გამოვიდა. მაშინ „ავერსის" თანამშრომლები იცინოდნენ, აქამდე ჩვენი „უმფროსი" პაატა კურტანიძე ბრილიანტებით გაწყობილი ფეხსაცმელებით დადიოდა, ერთი კვირით გაიხადა, ლამის „კალოშებით" დაიწყო სიარული, საქმე ჩააწყო და ისევ ბრილიანტიანი ფეხსაცმელები ჩაიცვაო. არ ვიცი, რამდენად სიმართლეა (ან კი რატომ არ იქნება), მაგრამ ფაქტია, საქართველოში სამკურნალო პრეპარატები 30-ჯერ მეტი ღირს, ვიდრე ჩვენს სამეზობლოში – თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთში. აღარაფერს ვამბობ პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროპა-აზიაზე. არ ვიცი, გაიგეთ თუ არა, კახა კუკავას რომ შემოუტანია თურქეთიდან და 30–40-ლარიანი წამლების გაყიდვა დაუწყია ლარნახევრად, ანუ იმ ფასად, რაც ღირს თურქეთში. მისულან ამ კუკავასთან ვიღაცები (აუდიტიდან) და წაუყენებიათ პრეტენზიები, შენა, ძმაო, რას შვრები, ეგრე არ შეიძლებაო! ჯერ ერთი, თუ საქართველოში ბიზნესი თავისუფალია, ვინ ჰკითხავთ „მავნებს", მე ლარნახევრად გავყიდი თუ ათ შაურად და მეორე, თუ კუკავას შეუძლია უცხოეთიდან წამლების შემოტანა იაფად, მაშ სახელმწიფოს რა დაემართა, რა დამბლა დაეცა? ერთსაც შეგახსენებთ... თქვენმა წინამორბედმა გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე გამოაცხადა, სოციალურად დაუცველები და პენსიონერები გარკვეული სახის პრეპარატებს სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღებენო. კარგი პროექტია, ჩემმა მზემ, ბევრმა გაჭირვებულმა ამოისუნთქა, პირველ ჯერზე პრობლემა არ არსებობდა, მაგრამ მეორე ჯერზე აღმოჩნდა, რომ თურმე ბევრს პრეპარატზე დეფიციტი შეიქმნა და „პეესპეს" აფთიაქებში მისული გაჭირვებულები ხელცარიელები გამოუშვეს. ახლა ამიხსენით, რატომ გადაეცა თავის დროზე ამ პროექტის განხორციელების ექსკლუზიური უფლება „ნაციონალ" დეპუტატს, კახა ოქრიაშვილს, რომელიც ორიოდე წლის წინ გადმოხტა „ქართული ოცნების" რიგებში? ააა... რომ გადმოხტა, ამიტომ დაუფასეს და უშურველად შეტენეს მილიონები? იცით, რა მოხდება საპარლამენტო არჩევნების წინ? უკვე ნათლად ვხედავ იმ აფიორას, რაც გათამაშდება: 2020 წლის ზაფხულში, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოცხადდება, რომ 1-ლარიანი წამლები აღარ არის, რომ დეფიციტია, რომ პრობლემებია და მოსახლეობას ჩააგონებენ, ეს იყო ბლეფი, ბიძინა ივანიშვილმა მოგატყუათო. ამის შესახებ ამბავი მივა ბიძინა ივანიშვილის ყურამდე, შეშფოთდება, თავისი ფულით იყიდის წამლებს და დაარიგებს უფასოდ. რა თქმა უნდა, ე.წ. ოპოზიცია ატეხავს სკანდალს, ადგილი აქვს მოსახლეობის მოსყიდვასო. ვიცი, ბატონო გიორგი, ვიცი, რომ ასე იქნება, რადგან კარგად ვიცნობ ამათ ჯიშსა და მოდგმას. ერთი ამიხსენით (საზოგადოებას აუხსენით), თუ ამ ოქრიაშვილს, ანუ "პეესპეს" არ ჰქონდა ზურგი, მთავრობის მიერ შემუშავებული პაკეტი მთლიანად უზრუნველეყო, რატომ მიეცით სრული კარტბლანში, სხვა საათფთიაქო ქსელები არ არსებობდა? წამლებზე მისულ გაჭირვებულებს ეუბნებიან, არ არის და არც ის ვიცით, როდის იქნებაო, ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენ არ გვაწვდიანო. რა ვიცი, იმათ არ აწვდიან, იქნებ თქვენ მაინც მოგაწოდონ?



**ბატონო გიორგი**, ამ ჯერზე ორი პრობლემა შეგახსენეთ. ვაღიარებ, ორივე ურთულესია, მაგრამ არა "დაუძლევადი", ერთმა საკუთარი რიგები და ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა გაწმინდოთ ავაზაკებისგან, მეორეგან – ხელები უნდა დაუმოკლოთ ავაზაკებს. ორივე შემთხვევაში მოგებული დარჩება ხალხი და ქვეყანა, ანუ თქვენც. რაც მთავარია, თუ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ყველა შხამიანი ისარი ბიძინა ივანიშვილისკენ არ წავა.

პატივისცემით,
**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# პეტრე ცაავა – „ციანიდი-2“-ია, რომელიც მთელ ქვეყანას უპირებს მოწამვლას

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ-პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, ბოლო პერიოდში ეკლესიის გარშემო, ყოველდღიურად, ახალ-ახალი სკანდალი გორდება. რით აიხსნება ყოველივე?**

— აშკარაა, რომ მხოლოდ ეკლესიაზე კი არა, ზოგადად, საქართველოზე მიზანმიმართული შეტევა ხორციელდება. ეს, ერთი მხრივ, ეკლესიის დისკრედიტაციას, მეორე მხრივ კი, ქვეყნის აოხრებას და განადგურებას ემსახურება. რეალურად, ეკლესიაში ისეთი არაფერი ხდება ამ პროცესების საფუძვლად რომ მივიჩნიოთ. ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ციანიდის მოვ-



ლენების დროს, აბსოლუტურად, სხვა პროცესები უნდა დაწყებულიყო, კერძოდ, კონსოლიდირება იმ თემის გარშემო, რომ თურმე, პატრიარქს წამლავდნენ და თავს ესხმოდნენ. ეს ხომ ფაქტია. ამის მაგივრად, ვხედავთ, რაც ხდება — ისევ პატრიარქს დაესხნენ თავს. ანუ, უკვე, ცალსახაა, რომ ციანიდი პირდაპირ პატრიარქის წინააღმდეგ იყო მიმართული და არა შორენა თეთრუაშვილის ან ვინმე სხვის წინააღმდეგ. ღმერთმა არ მოასწროს ასეთი ადამიანები პატრიარქის არყოფნას. ეს იმ დროს მოხდა, როცა პატრიარქის ჯანმრთელობა შერყეული იყო. მავანი თავის რიგს არ დაელოდა. ციანიდის საქმე მოაწყვეს იმიტომ, რომ ამას მეორე მხარე ჰქონდა — ქვეყნის გადატრიალება მხოლოდ პატრიარქის თემით იყო შესაძლებელი. სხვა ყველაფერი სცადეს — გეი-პარადები, თბილისი-პრაიდი, აქციები და არცერთმა არ იმუშავა. შედეგად, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერთადერთი რაც ქვეყანას შეარყევს და საძირკველს გამოაცლის, პატრიარქის ხელყოფაა. აქედან გამომდინარე, პატრიარქზე თავდასხმა მოხდა. ეს აღქმულია როგორც პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა, მაგრამ ვიცი, რომ ეს არის, ზოგადად, ბრძოლა ძალაუფლებისთვის და არა მხოლოდ ეკლესიაში. ძირითადად, ეს არის ბრძოლა საქართველოში გავლენების მოპოვებისთვის. ამ ბრძოლაში მხოლოდ პეტრე ან „ნაცმოძრაობა“ როდია ჩართული. ამის უკან, კიდევ, სხვა ძალები დგას, კერძოდ, მსოფლიო პატრიარქი და სხვა ძალები, რომელთა ინტერესებშიც შედის ის პროცესები, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. ამის პირდაპირ დანახვა და გააზრება ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ძალიან რთულია. ამიტომ, ყოველივე ეს იწვევეს ხალხის დაბნეულობას, ერში ეჭვების გაჩენას. სწორედ ისეთი სცენარები, სქემებია მოფიქრებული, რაც საზოგადოებას დააბნევს. ასე, მრევლის გარკვეული პროცენტი, შეიძლება, კიდეც ჩამოაშორონ ეკლესიას. სწორედ ეს არის მტრის მიზანი. აი, ამ ეპოქაში, სიტუაციაში მოგვიწია ცხოვრება.

**— ანუ, ეს არის ბრძოლა გავლენების მოპოვებისთვისაც და პატრიარქის ტახტის დასაპატრონებლადაც?**

— ზოგადად, ეს არის ბრძოლა ქვეყანაში ძალაუფლების მოსაპოვებლად, რაც უფრო პოლიტიკური პროცესია, ვიდრე რელიგიური. ეს უფრო პოლიტიკური პრობლემაა. გაშმაგებული ბრძოლა მიდის ძალაუფლებისთვის. აქედან გამომდინარე, ეს პროცესები მხოლოდდამხოლოდ ეკლესიასთან, ნამდვილად, ვერ დაკავშირდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოში ძალაუფლების მოპოვებისთვის ხდება და ამის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და მამოძრავებელი სწორედ ეკლესიაა, რაზეც სახელმწიფო და თავად მართლმადიდებლური ეკლესია დგას.

**— ახლახან, ციანიდის საქმე ახსენეთ. მეუფე პეტრეს ქმედებას რა შეიძლება ვუწოდოთ?**

— პირდაპირ შემიძლია ვთქვა: პეტრეს ქმედება, ეს იყო ციანიდი №2. პატრიარქი ციანიდით ვერ მოკლეს და ახლა, ამ ფორმით სცადეს. იცოდნენ, რომ ეს დიდი დარტყმა იქნებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, ადვილი გგონიათ პატრიარქის ისე მოხსენიება როგორც ამას პეტრე აკეთებს — პედერასტიო. პირდაპირ პედერასტი რომ გიდგას წინ, იმას ვერ ეუბნები პედერასტი ხარო და პატრიარქს რომ პირში ასეთ რამეს ეუბნები რა შეიძლება ამას ეწოდოს თუ არა ციანიდი №2.

**— როგორ ფიქრობთ, რას უკავშირდება მამათმავლობის თემის წინ წამოწევა?**

— ზოგადად, ამ შემთხვევაში, მგონია, რომ ეს პირიქით, პროპაგანდაა იმ მიმდინარე პროცესებისა, რაც სახეზე გვაქვს. ავიღოთ, თუნდაც ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ გარშემო ატეხილი ხმაური. ეს არის სოდომური ცოდვის პროპაგანდა, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც შემდეგზეა გათვლილი: თავდაუზოგავი ბრძოლის შემთხვევაში, პირიქით, „მებრძოლებს“ უფრო გაეზრდებათ დასავლეთიდან დაფინანსება, რაც ცალსახაა. ის ჯგუფები რომლებიც ვითომ გეებს იცავენ, კიდევ უფრო მოძლიერდებიან და იტყვიან: აი, როგორ ვებრძვით ამ პრობლემას, მეტი ფული მოგვეცითო. შედეგად, ევროსაბჭოდან ხელისუფლებაზე დიდი ზეწოლა ხორციელდება ასეთი ჯგუფების დასაცავად და ა.შ. დიახ, ეს უფრო პროპაგანდას ემსახურება, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლას. შეიძლება ამ პროცესებში ჩართულები ამას ვერც აანალიზებენ, მაგრამ შედეგი სამწუხარო იქნება. რაც შეეხება მეუფეების მიერ ერთმანეთისადმი მამათმავლობაში მხილებას, ეს თემა — ეკლესიაზე სოდომური ცოდვით შეტევა, არახალია. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გაჟღერდა, რომ ამ თემით ეკლესიაზე დარტყმა უნდა განეხორციელებინათ. მაშინ კომუნისტებს ამის გაკეთება არ დასჭირდათ იმდენად რამდენადაც საბჭოთა საზოგადოება ათეისტი იყო და არც მრევლი გახლდათ იმდენად მძლავრი. ახლა, ვილაცებმა, უკვე, ე.წ. დამოუკიდებელ საქართველოში იგივე თემა ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს მაშინ, როცა ეკლესია გახდა ძლიერი ფაქტორი ქვეყანაში სხვადასხვა პროცესებისა და მას დაარტყეს, რათა როგორც ძლიერი



ძალა გაეუვნებელყოთ.

**— ერი დაიბნა, დაეჭვებულიაო — ამბობთ. მის გამოსაფხიზლებლად რა უნდა გაკეთდეს?**

— თუ საზოგადოებამ თავად არ იპოვა საკუთარ თავში იმის ძალა, რომ ყალბი და მართალი ერთმანეთისგან განასხვავოს და ეს არ გაიაზრა, ასე ადამიანის გადარჩენა ძნელი იქნება. იგი თავად უნდა იყოს ამისთვის მოწოდებული, რასაც გონებრივად გაანალიზება სჭირდება. საზოგადოებამ მშრალად არ უნდა მიიღოს ის ტალახი და სიბინძურე, რაც სატელევიზიო ეთერებიდან მოედინება. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას ფილტრი უნდა გააჩნდეს თუ თვლის, რომ ცივილიზებული და განათლებულია. მეორე მხრივ, არ არსებობს ისეთი ექსპერტები, რომლებიც ამ მიმართულებით სწორ დასკვნებს დადებენ, რათა საზოგადოებას ამ ტალახის გაფილტვრაში დაეხმარონ. ასეთი ადამიანები ქვეყანაში, ფაქტობრივად, ან არ არსებობენ, ან ძალიან სუსტად არიან წარმოდგენილნი.

**— „ნაცებმა“ ბევრჯერ სცადეს ხალხის გადაბირება, თუმცა უშედეგოდ. ეკლესიის თემით მანიპულირება რამდენად სახიფათოა?**

— დიახ, „ნაციონალებმა“ მიზანს ვერ მიაღწიეს, ხალხი მათ არ გაჰყვა და ამის მთავარი მიზეზი იმ 9-წლიან სადიზმთან ერთად, მათი ანტიეკლესიურობაა. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ისინი მართლმადიდებლური ეკლესიის მწყალობლები კი არა პირიქით, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები არიან. ამიტომ არ დგება საზოგადოება მათ გვერდით. ის რაც დღეს ეკლესიის წინააღმდეგ ხდება, რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ ინტერესებშია. კერძოდ, ეკლესია რაც უფრო შესუსტებული, დამცრობილი, დაკნინებული იქნება და ნაკლები მრევლი ეყოლება, მათთვის უკეთესია. ისინი ფიქრობენ, რომ ამ ბინძური კამპანიით მრევლს ეკლესიას გაარიდებენ. რა თქმა უნდა, მათ ინტერესებშია მართლმადიდებლობაზე შეტევა და დასუსტებული, დამცირებული ეკლესიის ხილვა. მთავარია, ხალხი რამდენად დაექვემდებარება „ნაციონალების“ პროვოკაციას, რასაც ისინი დედა-ეკლესიის წინააღმდეგ ახორციელებენ. მაინც მგონია, ის, რაც პეტრემ ჩაიდინა, ხალხზე, ეკლესიის მიმართ, უარყოფითად ვერ იმუშავა. მან ვერ დადო ის შედეგი, რასაც „ნაცები“ ელოდნენ. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ დღეს „ნაცებს“ გეგმა ჩაეფუშათ. ანუ, ციანიდი №2-ის გეგმა ჩაიშალა იმდენად რამდენადაც პატრიარქმა ამ შემოტევას გაუძლო. ამ ეტაპზე იგი კარგად არის. ღმერთმა დიდხანს უმყოფოს მისი თავი ჩვენს ქვეყანას და ეკლესიას. ჯერჯერობით, უფლის წყალობით, მისი გულის გახეთქვა ვერ მოახერხეს. პატრიარქმა ეს პროცესიც გადაიტანა. ნუ, ახლა, ვნახოთ ციანიდი №3 როგორი იქნება.

**— დღეს მეუფეები, ეპისკოპოსები ღმერთის სახელით ამხელენ ერთმანეთს, იგინებიან, მრუშობენ, იწყევლებიან, იმუქრებიან. ვინ არიან ეს ხალხი, საიდან მოვიდნენ?**

— ესენი ჩვეულებრივი აგენტები არიან — ადამიანები რომლებიც თავის დროზე კაგებემ და შემდეგ, სხვადასხვა სპეცსამსახურებმა ეკლესიის ასაფეთქებლად ჩანერგეს. ისინი პერიოდულად ავლენენ თავს, რომ სწორედ იმ მიზნით არიან ჩანერგილები, რათა ეკლესიას ძირი გამოუთხარონ. ხომ გახსოვთ, გიგა ბოკერიას გეგმა ეკლესიის დაყოფის თაობაზე. დღეს სწორედ ეკლესიის დასუსტებაზე მორგებული პიარ-კამპანიაა მიმდინარეობს.

**— ამ ორი „წმინდანის“ — ბოკერიასა და სააკაშვილის ერთმანეთთან დაპირისპირებაც ამ გეგმის ნაწილი ხომ არ არის?**

— მათი დაპირისპირება, სისუ-



6 გვ. →

# საქართველოს ენერგობაზარი კორუფციონერებმა მიიტაცეს, რომლებიც მოსახლეობას უსინდისოდ ყვლეფენ

## რას არეგულირებს სემეკი – ტარიფებს თუ კორუფციულ სქემებს?



ენერგეტიკის სფეროში რომ რიგზე ვერ არის საქმე, ამის დანახვას დიდი პროფესიონალიზმი არც ჭირდება. 90-იან წლებში ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების ინიციატივით, თუ ხელოვნურად აცლევინებდნენ წყალსაცავებს, რომ ზაფხულშიც კი არ გვქონოდა შუქი, რათა რაც შეიძლება მეტი უკმაყოფილება გამოეწვიით მოსახლეობაში შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ, ახლა მეორე უბედურება გვჭირს. წყალსაცავების დაცლაში ნაციონალებად სახელგადარქმეული „რეფორმატორების“ ჩართულობა, ვინმეს მოგონილი არ გეგონოთ, ეს შევარდნაძის ხელისუფლების ორმა ფრიად მაღალჩინოსანმა, უშიშროებისა და სამართალდამცავი უწყებების გენერალიტეტის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს. რაც შეეხება დღევანდელობას, ენერგეტიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის, კოტე ჭანტურიძის განცხადებით, ზაფხულში, როდესაც თოვლი დნება, ჭარბი ელექტროენერგია გვაქვს, მომხმარებელი კი ცოტა, ამიტომ ახლა თავად არიან იძულებული დენის მწარმოებლები, რომ წყალი დაღვარონ. ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, დენის სიჭარბე და მომხმარებლის სიმწირე, საქმე იმაშია, რომ ელექტროენერგიის სიძვირის გამო, განსაკუთრებით კატასტროფული ტარიფებია საწარმოებისა თუ სხვა კომერციული ობიექტებისთვის, რომ ხალხს სურვილი ეკარგება რაიმე ბიზნესი წამოიწყოს. რატომ არ ყიდიან ჭარბ ელექტროენერგიას საზღვარგარეთ, ან რატომ არ ხდება ასე ვთქვათ, გაცვლა, რომ ზაფხულში ჩვენ მივაწოდოთ იმპორტიორ ქვეყნებს, ზამთრის სეზონზე კი ამავე ფასში მივიღოთ? რესპოდენტის განცხადებით, არ არის მყიდველი, თორემ უცხოეთშიც გაყიდდნენ.ე.წ. ბარტერულ გაცვლის შემთხვევები არის, მაგრამ იშვიათად, რადგან წამგებიანი ხელშეკრულებებიაო.

**კოტე ჭანტურიძე**: დენის ნაადრევი იმპორტის მიზეზი ენგურჰესის წყალსაცავში წყლის სიმცირე სახელდება. მოგეხსენებათ, ეს ელექტროსადგური სარემონტოა, როდის აპირებენ გაჩერებას ჯერ გადაწყვეტილი არც არის, რადგან აფხაზური მხარე ყოფილა უარზე. ელექტროენერგიას რამდენსაც გამოიმუშავებ ქვეყანა, იმდენი უნდა მოიხმარო, თუ მოხმარება მეტია, მაშინ სიხშირე ეცემა, თუ რომელიმე მომხმარებელი არ გამოირთო ამ დროს, შედეგი გაცილებით ცუდი დადგება. არავინ რომ არ გამორთო, მაშინ რეზერვი უნდა იყოს, ამ ყველაფერს არეგულირებს სადისპეტჩერო. პიკური ელექტროენერგია ყოველთვის უფრო ძვირი ღირს, მაგალითად, შვეიცარიაში ის ათჯერ უფრო ძვირი ღირს. ვთქვათ გამოირთო ერთი ელექტრო სადგური, რამაც დენის დეფიციტი შექმნა, ამ დროს სხვისგან უნდა იყიდო, ამას ჰქვია პიკური ელექტროენერგია, რომელსაც როცა გიჭირს მაშინ ყიდულობ და გაცილებით ძვირი ღირს. არის კიდევ სხვა ფორმა, როცა ხელშეკრულების თანახმად კონკრეტულ დროს ყიდულობ, როცა გამყიდველს ზედმეტი აქვს და მინიმალურ ფასში გაძლევს. შენ როდესაც გჭირდება და იმავე წამს მოგაწვდის, ის გაცილებით ძვირია, მაგრამ გიღირს, თუ მაშინვე არ დააბალანსე, შეიძლება საწარმოები და სხვა სასიცოცხლო ობიექტები გაგიჩერდეს, ხაზი გამოგერთოს და რაიმე კატასტროფა მოხდეს. რა თქმა უნდა პრობლემა გვაქვს, იმიტომაც დავიწყეთ ასე ადრე ელექტროენერგიის იმპორტი. ზუსტად ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად იყო ამიერკავკასიის გაერთიანებული სადისპეტჩერო, რომელიც არეგულირებდა და ემსახურებოდა ამიერკავკასიის ელექტროსისტემას. მარშალ გელოვანის გამზირზე, „ვეფხისა და მოყმის“ მიმდებარე შენობაში იყო განთავსებული ეს სამსახური, რომლის შესაქმნელადაც უდიდესი სამუშაოები ჩატარდა. ეროვნული ძალის სახელით მოსულებმა, აღარ მინდა მეტი დაკონკრეტება, დაიწყეს ყველაფრის მიტაცება, მათ შორის, მაგ შენობის, სადისპეტჩერო რად გვინდაო. მერე ჟვანიას გუნდი შევიდა მაგ შენობაში, მწვანეების, მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის თუ „რეფორმატორების“ ოფისად აქციეს.

ხუდონჰესის მშენებლობის გაჩერებაში რა წვლილიც მიუძღვით ყველას, ეს საზოგადოებამ ისედაც იცის. აი, ასეთი ნაძირალა ხალხი წამოტივტივდა, ზოგს მატარებლის გაძარცვა უნდოდა, ზოგს რა გამორჩენა. ამ მიზნით გააჩერეს ხუდონჰესის მშენებლობა, თორემ ის ტურბინები, რომელიც ლენინგრადის ქარხანაში იყო დამზადებული, უკვე შეფუთული იყო, წამოსაღებად გამზადებული. დაამონტაჟებდნენ ამ დანადგარებს და ელექტროენერგიის პრობლემა აღარ გვექნებოდა. სხვათა შორის, განსაზღვრული იყო მარეგულირებელი ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ელექტროენერგიის აკუმულაციას მოახდენდა, ე.ი. თუ გვექნებოდა ჭარბი ელექტროენერგია, წყალს უკან გადავქაჩავდით და დეფიციტის დროს გამოვიყენებდით დენის გამოსამუშავებლად, რაც ძალიან დიდ მოგებას მისცემდა ქვეყანას. ასეთი უნიკალური ჰესის მშენებლობა გავაჩერეთ, იქ უამრავი გვირაბები იყო გაჭრილი, უკვე ბეტონიც ჩასხმული იყო. ენგურჰესში 15 კმ-იანი გვირაბია, რომლის დიამეტრიც 9 მეტრია, რემონტის დროს „კამაზები“ თავისუფლად მოძრაობენ. ამხელა სამუშაოების წარმოებას უზარმაზარი თანხები ჭირდებოდა. დიდი ფინანსები დაიხარჯა ხუდონზეც, ახლა იქ ზოგან ზვავი ჩამოწვა, ზოგან სხვა პრობლემა გაჩნდა, ახლა იმ ადგილზე ელექტროსადგური რომ გააკეთო, უფრო ძვირი დაჯდება.

— **ბატონო კოტე, ზაფხულში ჭარბი ელექტროენერგია გვქონია, რატომ არ მოქმედებს ეს მის ფასზე, რომელ წარმოების და შესაბამისად ეკონომიკის განვითარებაზეა საუბარი, როცა ელექტრომატარებლებს, ამ შემთხვევაში დენს, ცეცხლის ფასი ადევს.**

— საქართველოში არის ისეთი ხალხიც, რომელიც კაპიკებზე ყიდის ქვეყანას. მაგალითად ამერიკულ ენერგოკომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებაც კმარა, რომელსაც „თელასი“ მიყიდეს, ეს იყო კაბალური ხელშეკრულება. გასანაწილებელი ელექტროენერგიის ტარიფში შეტანილია 50 მეგავატიანი ელექტროსადგურის ღირებულებაც, რომელიც თელასის მყიდველს უნდა აეშენებინა, საიდანაც კიდევ დამატებით შემოსავალს მიიღებდა. რატომ ვიხდით თბილისის მცხოვრებნი იმ ელექტროსადგურის მშენებლობის ფულს, როცა არავინ აშენებს? აი, ასე ხელოვნურადაა გაძვირებული დენის ტარიფი. ვინმეს სჯერა, რომ მათ, ვინც ამ ხელშეკრულების შედგენაში და დადება-გაფორმებაში მონაწილეობდა, ასე მუქთად გადაულოცეს ამერიკელებს თელასის მრავალმილიონი ქონება მიზერულ თანხად (თელასი 20 მილიონ დოლარად გაყიდეს, არადა კომპეტენტური ადამიანების მტკიცებით, ეს თანხა თელასის მხოლოდ ერთი ქვესადგური ღირდა — მ.ს.), პლიუს ამას, ეს კომპანია მონოპოლისტად აქციეს და სასათბურე პირობები შეუქმნეს უმაღლეს დონეზე. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ათი მილიონი დოლარი მაინც ჩაუდეს ჯიბეში ზემოხსენებული სიკეთეების მისაღებად? ახლა არ დავიწყებ იმის გარკვევას ვინ ხელმძღვანელობდა ენერგოსფეროს თელასის გასხვისების დროს, ერთს ვიტყვი, ენერგოსისტემას ენერგეტიკოსი უნდა ხელმძღვანელობდეს. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, „ნოვაცია“ დანერგეს, თურმე დარგის სპეციალისტი არ არის საჭირო უწყების ხელმძღვანელად, მენეჯერი უნდა იყოსო, ანდა პარტიული მუშაკი, რომ საკუთარი პარტიის ლიდერის დაკვეთები შეასრულოს.

ენგურჰესი, ანუ მწარმოებელი 2,5 თეთრად ყიდის გამომუშავებულ ელექტროენერგიას, რომელიც მთლიანად შედის ენერგობაზარში და შემდეგ ადგენენ ტარიფებს. ტარიფების დადგენაში ჩართულია სემეკი, რომლის შეფსაც 25.000-ლარიანი ხელფასი „ჭირდება“ ტარიფების დასადგენად. ამ დროს არც დღევანდელი შეფია ენერგეტიკოსი და არც მისი წინამორბედი. რა ხდება ამ ქვეყანაში, ვის ინტერესებს ემსახურება ეს მარეგულირებელი კომისია, ვერ გაიგებ, თუმცა საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს რომ არ ემსახურება, ეს ცხადია. 4 კაპიკი ღირდა ელექტროენერგია, გადავიდა 4 თეთრზე, 5 თეთრი თუ იაფი იყო, 10 თეთრი გაეხადათ ტარიფი, რა უბედურებაა ეს 28 თეთრი. სასწაული ისაა, რომ 300 კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, გაცილებით მეტი უნდა გადაიხადოს. ვინც ეს მოიგონა, არ არის დასაჭერი? ვთქვათ ზამთარში დენის დეფიციტია, ზაფხულში როცა ჭარბი გვაქვს და წყალს ღვრი, მაშინ მაინც დასწიე ტარიფი. ჯერ ერთი რატომ ღირს ასე ძვირი, საიდან გამოყავთ ის 28 თეთრი თუ რაც არის? მე ერთი ვიცი, ელექტროენერგიის მწარმოებელს, ანუ გენერაციას უნდა ჰქონდეს 60%, ხოლო გამანაწილებელ კომპანიებს 40%, აქ შედის გადაცემაც და სხვა კომპონენტებიც. საქართველოში ახლა ყველაფერი პირიქითაა, 20%-იც კი არ აქვს გენერაციას, რეალურად 10% რჩება მწარმოებელს, 90% განაწილებისაა, გამანაწილებელი კომპანიები თელასი და „ენერგოპრო ჯორჯიაა“, ამხელა მოგებას ისინი იდებენ ჯიბეში. ამ ორ კომპანიას ნაციონალების დროს სხვა „საჩუქარიც“ უბოძეს,



6 გვ.

# პეტრე ცაავა - ციანიდი-2-ია...

4 გვ.

ლელეა. ბოკერიას და სააკაშვილს საერთო მტერი ჰყავთ — ეს არის დანარჩენი საზოგადოება. ისინი ამ საერთო მტერთან ბრძოლაში ერთიანნი არიან. თუ ტორტის ნაჭერს ვერ იყოფენ, ეს სხვა თემაა, მაგრამ მათი მტერი და სამიზნე არის დანარჩენი საზოგადოება. მათ სწორედ ამ საზოგადოების განადგურება სურთ. ყველამ ვიცით რაც ხდებოდა სააკაშვილის, ბოკერიას ეპოქაში. კერძოდ, ყველა მიმართულებით ავტორიტეტების ნგრევა — ეკლესიაში, ერში და ა.შ. ვინ უწოდა ინტელიგენციას ჩარეცხილები? ეს იყო სწორედ საზოგადოების დაკნინების, განადგურების მცდელობა, როცა იმ ავტორიტეტებს ანადგურებ რომლებზედაც ხალხმა სწორება სწორება უნდა აიღოს. ყველას ჩირქი მოსცხო, ჩარეცხილები უძახო, აბა, სხვა რა არის თუ არა საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი ერთმანეთს კი არა, არამედ საზოგადოებას ებრძვიან სხვადასხვა ფრონტიდან — მიშას თავისი ფრონტი აქვს გახსნილი, ბოკერიას — თავისი. შეიძლება ისინი შიდა ძალაუფლებას ვერ იყოფენ და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, მაგრამ მთავარ ამოცანაში — ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთნი და განუყოფელნი არიან. ამიტომ, რასაც წლების წინ ვითხოვდი: „ნაცების" გასამართლებას, ეს მაშინვე უნდა გაკეთებულიყო, უნდა აღედგინათ სამართლიანობა და ეს დამნაშავეები დაესაჯათ.

**— ნიკა გვარამიამ პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერია: პატრიარქი რომ გეია ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, პრობლემა საპატრიარქოს დამოკიდებულებაა ჰომოსექსუალიზმისადმიო.**

— მეც მაგას ვჩივი: სწორედ რომ გვარამია არის დღეს ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის ფლაგმანი. იგი, „ნაციონალების" პროექტის განხორციელების ფლაგმანი, მედიამაგნატია. ამას არც მალავს, პირდაპირ ეთერში ხალხს, ქვეყანას დედას აგინებს. დასაჭერი იყო და ამის ნაცვლად 70 მილიონი ვალი ჩამოაწერეს. რისთვის, ხომ საინტერესოა? გადასახადებს მალავდა, არ იხდიდა და რატომღაც ეპატია. აბა, ერთი თქვენ არ გადაიხადოთ ხელფასიდან ბიუჯეტში გადასახადი, რა დღეში ჩაგაგდებენ. გვარამია მილიონებს შთანთქავდა, გადასახადს არ იხდიდა და ვითომც არაფერი. რატომ არ გაასამართლეს, რა ხდება?

**— ქალბატონო ნანა, გიორგი ტიგინაშვილმა გვარამიას არხზე საიდუმლო შეკრებებზე ისაუბრა. რას გულისხმობდა?**

— დიახ, ჩვენ პერიოდულად ვიკრიბებით, ოღონდ ამაში საიდუმლო არაფერია. საღად მოაზროვნე ადამიანები ჩვეულებრივ ვხვდებით ერთმანეთს და ქვეყნის გადარჩენაზე ვმსჯელობთ. ტიგინაშვილი ზაზა შათირიშვილმა მოიყვანა, ეს ჩემი ინიციატივაც იყო — ვინმე ისეთი პიროვნება გვენახა, ვისაც ეკლესიის მიმართ ნეიტრალური პოზიციის დაფიქსირება შეეძლო. მე, მაინც მიკერძოებული ვარ, ჩემი ურთიერთობა პატრიარქთან, საპატრიარქოსთან ცნობილია, ბავშვობიდან



მათ წიაღში გავიზარდე და ვერ ვიქნებოდი ობიექტური. მინდოდა ობიექტური თვალით დანახული პროცესები. ამიტომ, ზაზამ ტიგინაშვილი შეარჩია. იგი მოვიდა, მოგვიტანა თავისი ხედვა, რაც აბსოლუტურად, ემთხვეოდა ჩვენს ხედვას. ტიგინაშვილი ხოტბას ასხამდა პატრიარქს, მეტიც, ისეთ დითირამბებს წერდა უხერხულიც კი იყო წასაკითხად. თავის 19-გვერდიან ნაშრომში 14 გვერდი „ნაცებისა" და „რუსთავი2"-ის გინებას ეძღვნებოდა. ასეთი იყო მისი პოზიცია. ახლა, ჟურნალისტებმა ეს თემა რომ ააგორეს, არავის დაებადა კითხვა: თუ ტიგინაშვილი 2017–18 წლებში „ნაციონალებს" და „რუსთავი-2"-ს ლანძღავდა, 2019 წელს რა დაემართა, ასე რატომ იცვალა ფერი?! თუნდაც, კონსპირაციული შეხვედრაც რომ გვქონოდა, თავისი უახლოესი მეგობარი ზაზა შათირიშვილი როგორ ჩაუშვა? რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი, ეს უფრო საინტერესო არ უნდა იყოს ჟურნალისტებისთვის? შემიძლია გადმოგიგზავნოთ და თავად ნახოთ რას ფიქრობდა „ნაცებზე", სისხლიან რეჟიმზე და „რუსთავი-2"-ზე, რომელსაც სხვათა შორის, თავად „ცრუსთავი-2"-ს ეძახდა. ახლა, რამ შეცვალა არ გაინტერესებთ?

**— როგორ ფიქრობთ, რამ შეცვალა?**

— შეცვალა იმან, რაც „მთავარ არხზე" თავად თქვა: 3 ათასლარიანი ხელფასი მინდოდაო. მას რა დაემართა, ეს უფრო საინტერესო არ არის, ვიდრე ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია შეხვედრას აწყობს იმისათვის, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გააანალიზო. ჩვენს შეკრებაზე რომ ატყდა ვაი-უშველებელი განა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არ იკრიბებიან სხვადასხვა თემებზე — ქალთა, ბავშვთა, უმცირესობების უფლებებზე და ა.შ. სასაუბროდ? ვერ ვხვდები, ეს შეხვედრა რატომ იყო ასე გასაკვირი. მე თუ მკითხავთ, გასაკვირი იყო ის თუ რა დაემართა ტიგინაშვილს. დიახ, ჩვენ, რა თქმა უნდა, სერიოზულ თემებზე ვმსჯელობთ, ვეძებთ გამოსავალს ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად და იმიტომაც გვებრძვიან და ჩვენს შეხვედრას დანაშაულად რაცხავენ. თურმე, დანაშაული ყოფილა ადამიანები შეიკრიბონ და გაანალიზონ: რა ხდება ქვეყანაში.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# საქართველოს ენერგობაზარი ქორვაჭრებმა მიიტაცეს...

5 გვ.

რაც არც „ქართული ოცნების" მმართველობისას დაუკარგავთ.

2011 წლის 16 ნოემბერს სემეკმა მიიღო №19 დადგენილება, რომლის მე-8 პუნქტი, ისედაც სასათბურე პირობებში მყოფ თელასსა და „ენერგოპრო ჯორჯიას", დამატებით პრივილეგიებს ანიჭებს. 0,4 კვ (380/220 ვ) და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის ელექტრული ქსელის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის, ანუ თელასის და „ენერგოპრო ჯორჯიას" მიერ. განაწილების ლიცენზიატი უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე მიერთებისთვის საჭირო ყველა სამუშაოსა და ხარჯს (სრულ ტექნოლოგიურ ციკლს), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანას, საშუალებების შეძენას და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ამ სამუშაოების შესრულება დედაქალაქში მხოლოდ თელასს შეუძლია, ახალ მომხმარებელს მიაერთებს ქსელზე და გადაახდევინებს 600 ლარს. ეს იგივეა ადამიანი მაღაზიაში პურის საყიდელად რომ წავიდეს და გამყიდველმა მაღაზიამდე მისასვლელი გზის მშენებლობაც დაგავალოთ. თქვენ იმ მაღაზიაში მეორედ აღარ წახვალთ, მაგრამ ობიექტის ქსელში ჩართვა რომ გინდათ, თელასს გვერდს ვერ აუვლით, რადგან ის მონოპოლისტია. რადგანაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონი არ მოქმედებს, რასაც უნდა იმას აკეთებს ეს კომპანია. ამ დადგენილების მიღებამდე არ იყო ქსელში ჩართვა ფასიანი, თავიდან 600 ლარი დაადგინეს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ეს თანხა გააორმაგეს. თელასი გამანაწილებელი კომპანიაა, მან ელექტროენერგია უნდა გაანაწილოს და მოემსახუროს მომხმარებლებს, სემეკის ხელდასმით კი სამშენებლო სამუშაოებიც თავის ხელში აიღო. რახან ადამიანი დაინტერესებულია არ გაიფუჭოს თელასთან ურთიერთობა, იძულებულია სამუშაო მას მისცეს და დამატებით გადაუხადოს ფული. ამ დადგენილებამ მომხმარებელთან ერთად იმ კომპანიებსაც შეუქმნა პრობლემა, რომლებიც მანამდე ასრულებდნენ ხსენებულ სამუშაოებს. ისინიც უმუშევრები დატოვეს, მხოლოდ თელასის წარმომადგენლების „კეთილ" ნებაზე არიან დამოკიდებული, თუ დაუთმეს სამუშაო. ანტიმონოპოლიური კანონი რომ მოქმედებდეს, ამ ხელოვნურად შექმნილ მონოპოლისტებს დაავალდებულებდა, რომ გაათმაგებული ფასით კი არა, თავის ფასში მომსახურებოდნენ მომხმარებელს.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რატომ ცრუობს ვასაძე?



შაბათს, 9 ნოემბერს, კინოთეატრ „ამირანთან“ გამართულ აქციაზე ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ შარშან, გაზაფხულზე, მას ორჯერ ჰქონდა შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან.

— ჩვენ შევთანხმდით, რომ ჩვენი საუბრის შინაარსი არ გასაჯაროვდებოდა, თუმცა არ ვიცი, როგორ და რანაირად, მაგრამ ამ საუბრის ტექსტი ორ-სამ დღეში ქართულ პრესაში მაინც მოხვდა, მე მგონი, „საერთო გაზეთმა“ დაბეჭდა.

მე პირობა არ დამირღვევია. იგივე თქვა ბატონმა ბიძინამაც. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

მე სიკვდილამდე არ ვიტყვი, რა ითქვა ჩვენს შეხვედრაზე, რადგან ამის უფლებას არ მაძლევს ის კოდექსი, რასაც ვემორჩილები. თუმცა ამ ფილმის გასვლის შემდეგ პირდაპირ, ყოველგვარი მაიმუნობის გარეშე ვიტყვი: წადი, ბიძინა, პოლიტიკიდან! — ასეთია, დაახლოებით, შინაარსი იმ ტექსტისა, რაც ვასაძემ ტელეკამერების წინ წარმოთქვა და რასაც დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა.

დავიწყოთ იმით, რომ „საერთო გაზეთში“ ივანიშვილსა და ვასაძის კონფიდენციალური საუბრის ამსახველი არანაირი ტექსტი არ გამოქვეყნებულა.

ვფიქრობთ, არ გამოქვეყნებულა იგი არც სხვა გამოცემებში, რადგან დიდი ძიების მიუხედავად, მსგავსი პუბლიკაცია ვერსად აღმოვაჩინეთ.

გამოდის, რომ ბატონმა ვასაძემ იცრუა...

გვინდა ვკითხოთ ბატონ ვასაძეს: — როცა ასეთ სკანდალურ ინფორმაციას აწვდით საზოგადოებას, როცა ადამიანს ბრალს დებთ, რომ მან სიტყვა გატეხა, შეიძლება მსგავსი ინფორმაცია „მე მგონის“ დონეზე გააჟღეროთ, მიუხედავად იმისა, რომ დანამდვილებით არ იცით, სად დაიბეჭდა ან საერთოდ დაიბეჭდა თუ არა მასალა, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანს ღირსებას ულახავთ და შეურაცხყოფას აყენებთ?

— მორალურ კოდექსებს ვემორჩილები მეო, რომ ბრძანებთ, რომელ კოდექსში წერია, რომ ასეთი საქციელი კაცური საქციელია?

როგორც ჩანს, რაღაც ახალი კოდექსია ეს, საერთო სარგებლობისა და საერთო მოხმარების კოდექსი თქვენთვის, ბურჭულაძისთვის, ხაზარაძისთვის, ოქრუაშვილისთვის — დგახართ და დედაკაცებივით ჭორაობთ — ამას შევხვდი, იმას შევხვდი, ამან ეს მითხრა და იმან ეს მითხრაო.

ვასაძემ „ჩორტი“ ჩააგდო და, ვითომც არაფერი, გაიარა.

მან შესანიშნავად იცოდა, რა ანკესი გადაუგდო იაფფასიანი ჭორების და თეთრი ძაფით მობლანდული „სკანდალების“ მოყვარულ მედიას, რომელიც აგერ უკვე ერთი კვირაა გააფთრებული ეჯაჯგურება ამ ანკესს და არაფრისგან ნაირ-ნაირი ვერსიების გამოცხობას ცდილობს.

ისიც საკითხავია, ვის და რას ემსახურება პატივცემული ვასაძე, როცა ასე ხშირ-ხშირად ითხოვს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას?

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ლოზუნგი „ბიძინა წადი!“ „მიშა, მოდის“ რომ ნიშნავს, ამდენი ალბათ ესმის ბატონ ვასაძეს და თუ არ ესმის, იქნებ ვინმემ აუხსნას და გააგებინოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, „საერთო გაზეთში“ არ დაბეჭდილა ვასაძის და ივანიშვილის საუბრის ტექსტი, სამაგიეროდ, გამოქვეყნდა წერილი „ჰაერის ძეგლი ლევან ვასაძისთვის“, რომელიც არანაირ კავშირში არ არის ვასაძე-ივანიშვილის შეხვედრის ამბავთან.

ეტყობა, ბატონ ვასაძეს წაკითხული არ აქვს ეს წერილი და მხოლოდ ყურმოკვრით იცის მისი არსებობის შესახებ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, თავისი მდიდარი ფანტაზიის წყალობით ეს პუბლიცისტური წერილი ივანიშვილთან საუბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერად მოჩვენებოდა, ამიტომ სპეციალურად ბატონი ვასაძისთვის, ხელმეორედ ვბეჭდავთ ამ წერილს, რომ დარწმუნდეს, ეს ის არ არის, რაც მას ჰგონია...

წაიკითხეთ, ბატონო ლევან და ისიამოვნეთ...

**„საერთო გაზეთი**

# ჰაერის ძეგლი ლევან ვასაძისთვის

•

ლაპარაკი საქმის ნაცვლად — ასეც შეიძლება დავარქვათ ვასაძის მიერ მოღვაწეობისთვის არჩეულ სტილს.

არა, სულ კი არ ლაპარაკობს, ხანდახანს თავის ლექსებსაც გვიკითხავს ხოლმე.

მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, ლექსები საკმაოდ მდარე და დაბალი ხარისხისაა, სამაგიეროდ, პატრიოტულ-ჰეროიკული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, აი, ისეთით, ურაპატრიოტიზმს რომ ვეძახით და იმ შეზარხოშებულ ქართველებს რომ მოსწონთ ძალიან, სუფრა ბრძოლის ველად რომ ეჩვენებათ და ყანწი ხმლად.

მოკლედ, როგორც პოეტი, დიდი ნიჭით ვერ გამოირჩევა ბატონი ლევანი, სამაგიეროდ, ლაპარაკშია ნიჭიერი და ისიც ლაპარაკობს და ლაპარაკობს, თან ისეთ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებზე და ისეთი დამაჯერებელი და საქმიანი ტონით, ხალხში პერიოდულად ხმა ვრცელდება, ლევან ვასაძე პოლიტიკაში მოდისო.

ვასაძის ლაპარაკი იძლევა ამ ხმების გავრცელების საბაბს, ამ ლაპარაკის გამოა, ხან რომელიმე სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტს რომ „აბარებენ“, ხან პრემიერ-მინისტრად „ნიშნავენ“, ამ ბოლო დროს კი ისიც ითქვა, ლევან ვასაძე, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, პრეზიდენტობაზე იყრის კენჭსო, თუმცა ყველა ასეთ ჭორს ვასაძის კატეგორიული განცხადება მოსდევს ხოლმე — პოლიტიკაში არ ვერევი, პოლიტიკური ამბიციები არც არასდროს გამაჩნდა და არც ახლა გამაჩნიაო.

ასე ბრძანა ახლაც, გრიგოლიას „რეაქციაში“ — მე პოლიტიკაში არ ვერევიო, თუმცა განცხადება, რომელიც მან ამ გადაცემაში გააკეთა, წმინდა წყლის პოლიტიკური განცხადებაა.

„მე მიმაჩნია, რომ რაც მალე ჩამოშორდება ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა, რაც მალე ჩამოშორდება „ქართულ ოცნებას“, მით უკეთესი იქნება პირადად ბიძინა ივანიშვილისთვისაც, „ქართული ოცნებისთვისაც“ და ჩვენი ქვეყნისთვისაც“, — ბრძანებს პატივცემული ლევანი და იქვე აყოლებს: ეს არ არის პოლიტიკური განცხადებაო.

ეს თუ პოლიტიკური განცხადება არ არის, აბა სხვა რა არის?

რა არის და ჩვენი ქვეყნის რიგითი მოქალაქის განცხადებაა, რომელსაც ისევე უყვარს თავისი სამშობლო, როგორც ბევრ ჩვენგანსო.

ხედავთ, თურმე რა ყოფილა? — რიგითი მოქალაქის განცხადება ყოფილა!

**რიგითო მოქალაქევ, ბატონო ლევან, როცა ასეთ „რევოლუციურ“ მოწოდებას აჟღერებთ და ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებთ, ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობის ტვირთი ჩამოიხსნას მხრებიდან, იქვე ისიც არ უნდა დაამატოთ, ვინ უნდა აიკიდოს ეს ტვირთი?**

თქვენ ხომ, როგორც თავად ბრძანებთ, თქვენი სამშობლო ძალიან გიყვართ. ჰოდა, იმაზე ფიქრით და იმის ანალიზით არ უნდა შეიწუხოთ თავი, რა შეიძლება თქვენს საყვარელ სამშობლოში მოხდეს, ივანიშვილმა თქვენს რჩევას რომ დაუჯეროს, უცებ გადგეს განზე და ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობაზე საერთოდ უარი თქვას?

პატრიოტობის ან ანალიტიკური აზროვნების ხარისხით მე თქვენთან, აბა, რას მოვალ, მაგრამ ჩემს მოკრძალებულ ვარაუდს მაინც გაგიმხელთ: **დღესვე, დაუყოვნებლივ, მოუმზადებლად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილის მიერ თქვენგან შემოთავაზებული ნაბიჯის გადადგმამ, შეიძლება ქვეყანაში უმართავი პროცესები გამოიწვიოს და დესტაბილიზაციის რეალური საფრთხე შექმნას.**

გიფიქრიათ თქვენ ამაზე, პატივცემულო ლევან?

ალბათ, არ გიფიქრიათ და თუ არ გიფიქრიათ, მაშინ თქვენი დიდი პატრიოტობა და ქვეყნის გულწრფელი გულშემატკივრობა როგორ უნდა ვირწმუნოთ?

სპეკულაცია პატრიოტიზმით, „მარიაჟობა“ პატრიოტიზმით, კეკლუცობა და თავის მოწონება პატრიოტული თემებით ჩვენს საზოგადოებაში კარგად ფესვგადგმული ტენდენციაა, რომელიც სათავეს არცთუ ისე შორეული ეპოქიდან იღებს და დამოუკიდებელ საქართველოშიც ისე გადმოგვყვა, როგორც სახადი.

**ბიძინა ივანიშვილიც ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ლევან ვასაძე იქცევა და არ ვერევი მე პოლიტიკაშიო, რომ ეთქვა, „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი ახლაც თავზე გვეყოლებოდნენ წამოსკუპებული.**

ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, სწორედ ეგ არის ნამდვილი პატრიოტიზმი, ნამდვილი გმირობა, რისთვისაც, ვასაძის აზრით, ბატონ ბიძინას ორი ძეგლი ეკუთვნის – ერთი სააკაშვილის მოშორებისთვის, მეორე – ქვეყნის წინაშე გაწეული უამრავი ქველმოქმედებისთვის.

კი, მაგრამ ამ ორი ძეგლის ღირს ბიძინა ივანიშვილს რომ ურჩევთ წასვლას, რატომ იგივე არა ურჩიეთ საძეგლოდ საერთოდ უვარგის მარგველაშვილსაც და არაა შენი საქმე პრეზიდენტობა, ჩემო გიორგი და წადი სახლშიო, რატომ არ უთხარით?

თქვენი შვილის ნათლია და ბავშვობის მეგობარი რომ არის, იმიტომ ვერ გაიმეტეთ „ჩამოსალაბორანტებლად“? აკი, სამშობლოს გამო არავის და არაფერს დავერიდებიო?

ბატონ ლევანს აქვს თავისი ოლიმპო — კიკეთი.

აი, იქიდან გვმოძღვრავს, იქიდან გვიკითხავს განმანათლებლური და დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ლექციებს.

კიკეთშივე არსებობს ვასაძის მიერ დაფუძნებული სკოლაც, სადაც ერთი ბავშვის აღზრდა-განათლება წელიწადში, რამდენადაც ვიცი, 10 000 ლარამდე ღირს, ანუ ეს არის სკოლა ძალიან მდიდარი ოჯახების შვილებისთვის.

ეს სკოლა სულაც რომ არ არსებობდეს, მდიდარი ოჯახები მაინც მისცემენ თავიანთ შვილებს სათანადო განათლებას.

არ სჯობდა, ეს სკოლა ღარიბი ოჯახების ნიჭიერი ბავშვებისთვის რომ დაგეარსებინათ, ბატონო ლევან?

ბიძინა ივანიშვილს თუ ორი ძეგლი უნდა დავუდგათ, თქვენ ერთს მაინც დაგიდგამდით, ეს სამადლო და მამულიშვილური საქმე რომ გაგეკეთებინათ,

აბა, მხოლოდ ლაპარაკში ჰაერის ძეგლს ხომ არ დაგიდგამთ, ბატონო ლევან?!

**ვახტანგ ხარჩილავა**
**N29, 8 აგვისტო. 2018 წ.**



# ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული შეტევა 20 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა

*გვესაუბრება აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს ქვეყნის წინააღმდეგ არაერთი ფრონტი გაიშალა. შეტევა ეკლესიაზეც განხორციელდა. რა გამოსავალს ხედავთ?**

— მოდით, სანამ ეკლესიაზე ვისაუბრებ, ახლო წარსულში მომხდარი მოვლენებიც გავიხსენოთ. მიტინგებს ახალგაზრდობიდანვე მიჩვეული ვარ, „ეროვნული მოძრაობა“ ჩემს თვალწინ ყალიბდებოდა. მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გახლდით და მთელი ეროვნული პრობლემები ამ გაზეთში იყო თავმოყრილი. წარმოიდგინეთ, თავიდან ტირაჟი 27 ათასი იყო და ერთ წელიწადში 375 ათასი გახდა. ხალხი გამოფხიზლდა. მისთვის მთავარი მიზანი დამოუ-



კიდებლობის მოპოვება იყო. სკოლის მოწაფეებიდან დაწყებული ყველა — სამშობლოს გაჰყვიროდა. ეს გულწრფელი ემოცია იყო. იმიტომ, რომ მაშინ განათლების მთავარი საფუძველი ეროვნულობა იყო. ბავშვს საბავშვო ბაღიდანვე სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდნენ. დღეს, რა ხდება განათლების სფეროში? — ვიბრძვით, როგორმე, კანონს ნორმალური სახე მივცეთ. ზოგს ჰგონია, რომ ჩვენ ლიბერალიზმს ვებრძვით. ილია ჭავჭავაძე ლიბერალი გახლდათ. საქმე იმაშია, რომ ლიბერალიზმის პრინციპები „ნაცებმა“ მთლიანად მოსპეს. ესენი „ნაციონალები“ კი არა, არამედ ნაცისტები არიან. მათ მოსპეს უმთავრესი პრინციპი — სამშობლოს ცნება, შეზღუდეს ადამიანის აზროვნების თავისუფლება და რაც მთავარია, თავად ადამიანი თავდაყირა დააყენეს. დღეს ასეთი მიდგომაა: პიროვნება რომელიც სამშობლოსთვის იბრძვის ჩამორჩენილად, უცხო ელემენტად მიაჩნიათ. არცერთი ტელევიზია, ერთეულების გარდა, ასეთ ხალხს არ იკარებს იმიტომ, რომ ტელესივრცე მთლიანად მოსყიდულია. ჟურნალისტებს უზარმაზარ ხელფასებს უხდიან იმაში, რომ წამდა-უწუმ ქართული ცნობიერება, ტრადიცია, ზნეობა აგინონ და საქართველო იმ გადაგვარებულ ევროპას დაამსგავსონ, რომელმაც თავისი კულტურა დაივიწყა. გავიხსენოთ გავრილოვის თემა. ამ ნაძირლებმა — „ნაცებმა“ დაიწყეს მიტინგობანა, რაშიც ახალგაზრდები ჩართეს. სამწუხაროდ, არცერთი მათგანი გულწრფელი არ იყო. იქ მდგომ ახალგაზრდობას არ აქვს გაცნობიერებული — რა არის სამშობლო, ქართული სახელმწიფო. ვისი შვილები იდგნენ იქ? — მათი ვისი ოჯახიც მოწამლულია — ბერძენიშვილების, ჟორჟოლიანების და ა.შ. აი, სწორედ ისინი წიოდნენ. ასეთი რამ არსად მინახავს — მიტინგი ერთხელ დაშალეს, გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი, ცოტა ხანში ეს ხალხი ისევ დაბრუნდა და შეტევაზე გადავიდა. ასე განმეორდა ხუთგზის. მერე, პოლიციას საყვედურობდნენ: უნივერსიტეტამდე გამოგვეკიდნენო. პოლიცია ასე იმიტომ მოიქცა, რომ ესენი არ ისვენებდნენ — წავიდოდნენ, ცოტა ხანში ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ჩვენც დავდიოდით მიტინგზე და რომ დაგვშლიდნენ, გზასაც გვაძლევდნენ და მივდიოდით. ეს ხალხი ნარკოტიკებით იყო გაბრუებული, ასევე, ფული ჰქონდათ აღებული და ჰყავდათ ხელმძღვანელები, რომლებიც არეულობის დროს არ ჩანდნენ. გადავხედოთ, ვინგამოდიოდა პარლამენტზე შტურმის მოწოდებით — მელია და მისთანანი, ხომ. ეს იყო ქართულ სახელმწიფოზე ორგანიზებული შეტევა. ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაში ვერავინ დამარწმუნებს. გახარია რომ არ ყოფილიყო, ქვეყანაში საშინელება დატრიალდებოდა — მოვიდოდნენ „ნაცები“, რასაც ხალხი ვერ აიტანდა და იქნებოდა ხოცვა-ჟლეტა. გახარიამ სამხედრო გადატრიალებას გადაგვარჩინა. აქვე, გეტყვით: „ვარდების რევოლუცია“ ჩემს თვალწინ მოხდა. მაშინ პარლამენტის წევრი ვიყავი. კი, ისინი ჯარმაც გამოატარა, პოლიციამაც, მაგრამ თვითონ პარლამენტში იყო უკვე მორფინისტები შეყვანილი. მეორე დღეს პარლამენტში რომ მივედი, დამლაგებელმა ერთ-ერთ კაბინეტში შემიყვანა, რომელიც ერთჯერადი შპრიცებით იყო გადავსებული. ამ გადარეულ მიშას ვარდი კი მიაჩეჩეს, მაგრამ ამავე დროს ეს მშიშარა კაცი უკნიდან იარაღმიბჯენილი შემოიყვანეს, კარები კაგებეს მინისტრმა გახსნა. მათ მოაწყვეს ეს გადატრიალება და უბედურებები რაც მოხდა, მათი ბრალია. რა თქმა უნდა, „ვარდების რევოლუციაც“ საზღვრებს მიღმა იყო დაგეგმილი. საერთოდ, ეს „ფერადი რევოლუციების“ სახელითაა ცნობილი. აი, ახლაც ამის გამეორება უნდოდათ. როგორც კი პარლამენტს აიღებდნენ, მთელს საქართველოში მზად იყვნენ ძალები, რომლებიც ხელისუფლებას აიღებდნენ. აი, რას გადავრჩით. არსებობენ ადამიანები რომლებიც ამბობენ: ჩვენ, თავისუფლება გვინდა, რისთვისაც ყველაფერს ვიზამთ — ავხტებით მაგიდაზე და იქ, მოვისაქმებთო. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ქვეყნის მოსპობა, დანგრევა უნდათ. დააკვირდით, რა ხდება? — ეს მტარვალები, თითქოს, ოჯახში ვერ შემოდიან, მაგრამ ამ დროს ყველაზე მეტად სწორედ აქ, არიან გაბატონებული ტელესივრცის მეშვეობით. ბავშვებს ტელევიზორის ყურებას ვერ აუკრძალავ.

**— ბატონო ელიზბარ, ეროვნულობას ათასი სხვა გარყვნილებითაც ებრძვიან. დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს კინოთეატრებში ლევან აკინის ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ჩვენებამ. ამ საკითხზე, რა მოსაზრება გაქვთ?**

— დიახ, ახლა, დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ თურმე, ადამიანი არ უნდა განვასხვავოთ. ადრე, პიდარასტობა, დედათმავლობა, მამათმავლობა ავადმყოფობად ითვლებოდა. ლგბტ თემის აზროვნება სამ ეტაპად იყოფა: — პირველ ეტაპზე, ისინი ამბობდნენ: ჩვენც ადამიანები ვართ, ნუ გვდევნითო. მეორე ეტაპზე, განაცხადეს: ჩვენ, თანასწორნი ვართო და მესამე ეტაპზე, ამბობენ: ჩვენ ვართ ყველაფერი — ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ახალი სამყარო შექმნანო. აი, ეს ხდება. ავიღოთ, თუნდაც ეს ფილმი — „და ჩვენ ვიცეკვეთ“. როგორ შეიძლება ამის ახალგაზრდობისათვის ჩვენება. ეს ხომ ერის გადაგვარებისკენ მიმართული ნაბიჯია. ამ ფილმს შეგნებულად ავრცელებენ, უნდათ ადამიანმა სახე დაკარგოს — კაცმა კაცის და ქალმა ქალის. აი, ეს არის ცხოველობა, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით, სხვა კი არაფერი. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა ევროპარლამენტში მსჯელობდნენ: მაიმუნი უფრო ბედნიერია თუ ადამიანი. ბოლოს აღიარეს — მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი აზროვნებით, თავისი ცხოვრების წესით ბევრად მაღლა დგას, მაიმუნი უფრო ბედნიერია. ამ ბედნიერებას იცით რაში ხედავდნენ? — მაიმუნს ყველასთან — დედასთან, მამასთან, შვილთან, დასთან უნდა სექსუალური კავშირის დამყარება. აი, ეს მიაჩნიათ მათ ბედნიერებად და თავისუფლებად. დღეს, ევროპაში ყველაზე კონსერვატორულ ხალხად ინგლისელები ითვლებიან, ხომ. ამ ქვეყანაში 44 წლის ქალბატონი თავის საკუთარ ვაჟს გაჰყვა ცოლად. ამაზე უარყოფითი აზრი რომ გამოთქვეს, საზოგადოება აჩოჩქოლდა: როგორ, ეს მათი ნებაა, ისე იცხოვრებენ როგორც უნდათო. აი, ეს უბედურება გვჭირს. ამის დანერგვა უნდათ საქართველოშიც. ახლა, უყურეთ: „ნაცებმა“ ოჯახის, ქართული ცნობიერების წინააღმდეგ ადრევე დაიწყეს ბრძოლა. ჭიაბერაშვილმა მთელი პროგრამა შექმნა, რაშიც 40 ათასი დოლარი აიღო. იქ, პირდაპირ იყო მოწოდება: ჩვენ უნდა ვერიდოთ ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლებს, ისინი უნდა შევზღუდოთო. ამ პროგრამაში ასევე ეწერა: არსებობს უფრო დიდი საშიშროება — ბავშვის აღზრდა ოჯახში ხდება და ამიტომ, თავად ოჯახს უნდა ვებრძოლოთო. მათი მიზანი, სწორედ, ოჯახისადმი ბრძოლაა. დღეს ცნება ოჯახი, საერთოდ, მოსპეს. ქართულ ტრადიციულ ოჯახებს ებრძვიან, სადაც კაცი კაცად იზრდება და ქალი ქალად. დღეს, ამერიკელი მეუბნება: ბავშვს ჰკითხე ქალობა უნდა თუ კაცობაო. ამის მთქმელი ჩემი ოჯახიდან ცოცხალი ვერ გავა, გაიტანენ. ამას ესენი ჩამორჩენილობას ეძახიან. მე ქართველი ვარ. მთავარი ზნეობა და ღირსება, ა რასაც გვაკარგინებენ. დღეს, ამ ტვინგამორეცხილ საზოგადოებას რომ ვუყურებ, გული მისკდება. ეს არის თავის მოჭრა, გადაგვარება.



**— ბატონო ელიზბარ, როგორც აღნიშნეთ, ყოველგვარ ეროვნულს ებრძვიან. ახლა, ეკლესიასაც მიადგნენ. ეს რამდენად სახიფათოა?**

— დიახ, დარჩა ერთადერთი რამ რწმენა, მართლმადიდებლობა, დანარჩენი ყველაფერი მოსპეს. ახლა, ამასაც უნდათ ძირი გამოუთხარონ. ლომაიამ და მისმა მიმდევრებმა გაუგონარი რეფორმა ჩაატარეს განათლების სისტემაში. ამ პროგრამის მიხედვით რელიგიის გაკვეთილები საერთოდ ამოიღეს სწავლებიდან. ბავშვები გამოათაყვანეს. მათ არ იციან რომელ საუკუნეში ცხოვრობდა შოთა რუსთაველი, ვინ არის ილია, აკაკი იმიტომ, რომ ყოველგვარი ეროვნული ცნობიერების აღმძვრელი სახელმძღვანელო პროგრამიდან ამოიღეს. სკოლის პროგრამაში აღარ შედის არცერთი ეროვნული შინაარსის მატარებელი მოთხრობა, ლექსი. რა დროს იაკობ გოგებაშვილიაო, გაიძახიან. ვაი, ამათ პატრონს. ქართული განათლების სისტემა ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს, სხვაგვარად ერი ვერ განვითარდება. სისტემა უნდა შეიცვალოს.

გახსოვთ, ამ ნაძირლებმა როგორ შეაჩვიეს ენა ილია II-ს და რა ამბავში იყვნენ. დღეს, გამოდის ეს ფსიქოლოგიურად ავადმყოფი სამადაშვილი და ბოროტებას აფრქვევს. მას, ახლახან, ფეისბუქზე დაუწერია: სანამ პატრიარქი და ქართული ეკლესია იარსებებს, საქართველოს არაფერი ეშველებაო. მოდი და ამისთანა ქალს ელაპარაკე. იგი, ჩამოყალიბებული სატანაა. ასე მგონია, სამადაშვილის ბოროტება სექსუალური დაუკმაყოფილებლობით არის გამოწვეული. ეს აგიჟებს ადამიანს. ასეთივეა ხოშტარია, რომელსაც კაგებეს სკოლა აქვს დამთავრებული. მის ოჯახს კარგად ვიცნობ, ვიცი, მამამისი რასაც წარმოადგენს. აი, ამათ ხელშია დღეს ქვეყნის ბედი. იცით, რა ხდება? — ტელეეკრანებზე სულ ამათი მომღიმარი სახეები ჩანს, ვითომ, დიდი ჭკვიანები არიან, ამ დროს, ბოროტებას ქადაგებენ. ეკლესიაში იშვიათად მივდივარ, მაგრამ არსებობს უმაღლესი ცნება რასაც ღმერთი, სიყვარული,





სრულყოფილება, ზნეობა ჰქვია და ეს მწამს. ადამიანი ღმერთმა თავის ხატად იმიტომ შექმნა, რომ მას დაემსგავსოს და არა სატანის გზაზე იაროს. ესენი სატანისტები არიან. თუ სახელმწიფო შესაბამის ნაბიჯს არ გადადგამს, მაშინ ხალხი გამოვა ნიჩბებით, ცოცხებით, ჯინჭრებით და მათ, ყველას აქედან განდევნის. სხვაგვარად, ქვეყნის გადარჩენა არ შეიძლება. ახლა, რაც ეკლესიასთან მიმართებით ხდება, თავის მოჭრაა. რა თქმა უნდა, ეს სატანები პატრიარქის სახელს ვერ წაბილწავენ. პეტრე ცაავა, მოგეხსენებათ, ცნობილი ჯიბგირი იყო, ქურდობდა. კი, მოინანია ცოდვა, მაგრამ რა საჭიროა ყველა ჯიბგირი და გათახსირებული კაცი მეუფედ და ეპისკოპოსად დავნიშნოთ. მეორე, გრიგოლ ბერბიჭაშვილი სამგზის ნასამართლევია ქურდობაზე, აფერისტობაზე და ა.შ. ბევრი მღვდელთმსახური მამათმავალია. რა უნდათ ამათ ეკლესიაში?

დღესდღეობით, ერთი კაცი



ცდილობს სიკეთე აკეთოს და ამისთვის ილანძღება. ეს კაცი რომ არა, „ნაცები“ დიდი ხნის მობრუნებული იქნებოდნენ. მათგან ლანძღვა, ქების ტოლფასია. აი, შექება რომ დაუწყონ, მაშინ იქნება ცუდად საქმე. ძალიან მძიმე დღეში ვართ, მაგრამ საქართველოს გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება. „ქართულ ოცნებაზე“ ამბობენ: ხელისუფლებაში რომ მოვიდა, რა გააკეთაო. რა უნდა გაეკეთოს? ბოდიში მომითხოვია და „ნაცებს“ ციხეების კადრები აღარ ახსოვთ? თუ ისევ ისე უნდათ, რომ გაგრძელდეს — ოჯახებს საწოლში შეუვარდნენ, ცოლქმარი შიშვლები წამოყარონ და ციხეში გაისტუმრონ, თუ ციხეში იძულებით გაუკეთონ პატიმრებს ოპერაციები და მერე ორგანოები გაყიდონ, თუ საკუთრება რომ არავის შეარჩინეს, ისე უნდა მოიქცეს „ქართული ოცნებაც“?! პროკურატურა „ნაცებით“ არის სავსე. არავინ დაიჯეროს, რომ პატრიარქზე შეტევა შემთხვევითი ამბავია. რაც არ უნდა ანტირელიგიური იყო, უფლება არ გაქვს იმ ადამიანს შეუტიო, რომელიც დღევანდელი ქართული ცნობიერებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოა. გახარიამ სწორად აღნიშნა: პატრიარქი არის ჩვენი წარსულის, აწმყოს და მომავლის სიმბოლო.ე.ი. შენ რომ პატრიარქს უტევ, ათახსირებ, რომელიც მსოფლიოში წმინდანად არის აღიარებული, ამით ქვეყანას უტევ, მიწასთან ასწორებ. მაგრამ მათ არც სამშობლო სწამთ, არც სახელმწიფო. ესენი არიან მუცელღორა სატანები, რომლებიც ბოდიში მომითხოვია და თავის მუცელზე, ასოზე და საშოზე მეტად სხვა არაფერზე ფიქრობენ. ამათ ენის ჩლექით და დემოკრატიულად კი არ უნდა ვესაუბროთ, ვისაც სამშობლო სძულს და მისი მოსპობა უნდა, აქედან გავყაროთ. ასეთი ხალხის მტერი ვარ. მტერი კი არა, მათი მკვლელიც გავხდები, თუ შესაძლებლობა მომეცემა.

ბოლოს მინდა ვთქვა: „საერთო გაზეთის“ რედაქტორმა ვახტანგ ხარჩილავამ ძალიან კარგი, კეთილი საქმე წამოიწყო. მან იშვილა გაზეთი „სხვა დრო“, რაც დიდი ეროვნული საქმეა, ამისათვის, პირადად მას, დიდ მადლობას მოვახსენებ. „სხვა დრო“, ჩემი აზრით, შემდეგს ნიშნავს: ახლა, ისეთი დროა ქვეყანას თუ არ მოვუარეთ, თუ ძილქუშიდან არ გამოვფხიზლდით და მის გადასარჩენად ერთად არ დავდექით, სამშობლო დაგველუპება. სწორედ ამ გაზეთის, ნამდვილი მწერლების და არა „საბას“ ლაურეატების წყალობით, მწამს ქვეყანა გადარჩება. ამ დიდი საქმის წამოწყებისთვის, უშუალოდ, თქვენს რედაქტორს კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თავზარდაცემულები

— **თავზარდამცემი** ამბავი უნდა გაუწყოთ — ესა და ეს მღვდელმთავარი 31 წლის წინათ თავის სტუდენტს გაქაჩვია მასთან სექსუალური აქტის დამყარების მიზნით, მაგრამ სტუდენტს უმარჯვნია — მოძალადე მოძღვრის კლანჭებისგან თავის დაღწევა მოუხერხებია. ამ **თავზარდამცემ** ამბავს მღვდელი სხილაძე 31 წლის შემდეგ გვამცნობს საფრანგეთიდან, — აცხადებს „მთავარი არხის“ (ყოფილი „რუსთავი-2“) ჟურნალისტი.

— მართლაც **თავზარდამცემი** ამბავია და ამ **თავზარდამცემი** ამბის დეტალების გასარკვევად 31 წლის წინათ სექსუალურ ძალადობაში ბრალდებულ მღვდელმთავართან საუბარს მომდევნო გადაცემაში გაგაცნობთ, — გვპირდება „მთავარის“ წამყვანი და თვალებს კარკლავს — ვიზუალურად ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ მართლაც **თავზარდაცემულია**.

საღამოს იგივე სიუჟეტს ატრიალებენ და ჟურნალისტის კომენტარში ისევ წამდაუწუმ მეორდება სიტყვა **თავზარდამცემი**.



ყოლიფერი კაი, მაგრამ ასეთი ამბების გაგონებისას თქვენ რაღამ დაგცათ თავზარი, ყოფილო „რუსთავიორელებო“?

ისეთი **თავზარდამცემი** ამბები გვსმენია თქვენზე, ვიღაცა ვიღაცას რომ წაებღლარძუნა 31 წლის წინათ, ამან რაღა **თავზარი** დაგცათ?

ამასწინათ კონსილიუმი ჰყავდა შეკრებილი „მთავარის“ მთავარს ნიკუტა გვარამიას და მეცნიერულ დონეზე არჩევდნენ საკითხს, თუ რა განსხვავებაა პედერასტიასა და მამათმავლობას შორის.

ჩვენ, ჰარიფებს, აქამდე თუ გვეგონა, რომ პედერასტობა და მამათმავლობა ერთიდაიგივეა, დიდმა „განმანათლებელმა ნიკუტამ გაგვანათლა და აგვიხსნა, რომ ეს სულაც არ არის ასე.

— პედერასტია არასრულწლოვან ყმაწვილთან სექსუალურ კავშირს ნიშნავს და სისხლის სამართლის დანაშაულია, მამათმავლობა კი დანაშაული არ არის, — კმაყოფილი სახით აღნიშნა პატივცემულმა ნიკუტამ და იქვე იმის გარკვევას შეუდგა, რაში დასდო ბრალი მეუფე პეტრემ სინოდის



თავმჯდომარეს — პედერასტიაში თუ მამათმავლობაში?

გვარამიამ ისიც გაიხსენა, როგორ დააბრალა მას მეუფე იაკობმა მამათმავლობა — თავის თანამშრომლებთან აქვს სექსიო, თქვა ჩემზე მეუფე იაკობმა, მაგრამ ვპატიობ ყველაფერს და ამ ბრძოლაში მის გვერდით ვდგავარო, — განაცხადა მამაცმა გვარამიამ.

კიდევ კარგი, გვარამიას თანამშრომლები სრულწლოვანები არიან და აქიდან გამომდინარე, გვარამიას პედერასტიაში ვერ დაადანაშაულებდა მეუფე იაკობი, მამათმავლობას კი არა უშავს — მამათმავლობა დანაშაული არ არის, მამათმავლობა არც გადახრაა, მამათმავლობა არც ავადმყოფობაა, მამათმავლობა ნორმაა, როგორც ვთქვით, — ასეთია გვარამიას და მისი „კონსილიუმის“ დასკვნა.

საქართველოს ისეთი **თავზარდამცემი** ამბები სმენია ყოფილ „რუსთავი-2“-ზე, მის შეფზე, გვარამიაზე და „რუსთავი-2“-ის ზოგიერთ სხვა მამაკაც თანამშრომლებზე, ეს ყველაფერი რომ დაეჯერებინა ვიღაცას და ამ **თავზარდამცემ** ამბებზე გადაცემე-



ბის სერიალი რომ გაეკეთებინა, როგორ მოეწონებოდათ და რას იტყოდნენ ამ უმსგავსობაზე, „რუსთავი-2“-ის ფანები?

ეკლესიაზე და საეკლესიო პირებზე ასე მიზანმიმართულად რომ ავრცელებთ ამ ყურით მოთრეულ ჭორებს და არა მარტო ეკლესიას, მთელ საქართველოს თავსლაფს რომ ასხამთ, რას იმსახურებთ ამის გამო ამ სიბინძურის გამავრცელებელი ჟურნალისტები?

ნიკუტა გვარამია ჩვეულ სტილში თვალთმაქცობს, ფარისევლობს და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ძალიან ტკივა გული და ნამეტნავად არის **თავზარდაცემული** იმის გამო, რაც საპატრიარქოში და სინოდში ხდება.

რა ენაღვლება გვარამიას — მამათმავლობის არ იყოს, არც ფარისევლობა და არც თვალთმაქცობაა სისხლის სამართლის დანაშაული და ისიც თვალთმაქცობს და ფარისევლობს თავის თანამოაზრე და თანამებრძოლ სხვა თვალთმაქცებთან და ფარისევლებთან ერთად.

**ძველი „რუსთავი-2“-დან ევაკუირებული ეშმაკის „ეკლესია“ აქვს გახსნილი ბატონ გვარამიას „მთავარ არხში“, „რუსთავი-2“-დან გადმოკორტირებული „მამაოებითა“ და „დედაოებით“, „ნაცებისა“ და „ევრონაცების“ წიაღიდან ამოზრდილი „მღვდელმთავრებით“ დაკომპლექტებული „წმინდა სინოდით“, რომლის თავმჯდომარეობას ორი „მეუფე“ ეცილება ერთმანეთს — ერთი „მეუფე“ მიშა და მეორე „მეუფე“ გიგა.**

არული კუდიანებს და ჯვარი აქაურობას!





# აკინის კინო




## სულ ცეკვა-ცეკვით უნდა გაგაპიდარასტოთ, ქართველებო — აი, რას გვეუბნება აკინის კინო

კინოთეატრებს საპროტესტოდ განწყობილი ადამიანების ტალღა მიაწყდა, თუმცა „მოპასუხე" მხარე არსად ჩანდა — „მოპასუხე" მხარე კინოდარბაზში იჯდა თბილად და კომფორტულად და მშვიდად უყურებდა ფილმს.

მათი დარბაზში მშვიდობიანად შესვლა და კინოსეანსის მშვიდობიანად ყურების პროცესი პოლიციის იმ გაძლიერებულმა რაზმებმა უზრუნველყო, რომლებსაც ახლა „პროტესტანტები" ეჯაჯგურებოდნენ და დარბაზში შესვლას თხოვდნენ.

უბილეთოდ ვინ შეგიშვებდათ, კაცო, თქვენ კინოში, აგეღოთ ბილეთები და შეხვიდოდით უპრობლემოდ. აი, რომ შეხვიდოდით, თუ რაიმე არ მოგეწონებოდათ მერე გაგეპროტესტებინათ შიგნით, დარბაზში. — რჩევას აძლევს „პროტესტანტებს" ერთი ფეისბუქმომხმარებელი.

ეეეხ, მოფიქრება უნდა ამას, ანუ ტვინის განძრევა უნდა, ტვინის გაძრევა კი ყველას ეზარება და ტვინისთვის ძალის დატანებას, ხელ-ფეხის უაზრო ქნევა და ყვირილი ურჩევნია.

ფილმის გადამღები კოლექტივი უცხოეთში იმყოფებოდა, ფილმის გაშვების მომხრეები დარბაზში ისხდნენ და შერჩნენ ერთმანეთს ფილმის მოწინააღმდეგეები და პოლიციელები, ანუ ერთმანეთის დარჩნენ ფილმის ჩვენების მოწინააღმდეგები და ქართული სახელმწიფო.

ქართულმა სახელმწიფომ კი პოლიციის პირით შემოთვალა: — ჩემთვის მთავარია გამოხატვის თავისუფლება და თქვენს გამო ამ პრინციპიდან ვერ გადავუხვევ... ვისაც ფილმის ყურება უნდა უყუროს, თქვენ თუ არ გინდათ, იდექით მანდ და აპროტესტეთ, რამდენიც გინდათ, ოღონდ მშვიდობიანი ფორმით, თორემაო...

ვიღაც-ვიღაცებმა მაინც არ შეისმინეს სახელმწიფოს გაფრთხილება და... 27 ქართველი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს.

ქართველის გახსენებაზე ბარემ ისიც ვიკითხოთ: გასაგებია, რომ იმ ქართველებს, რომლებსაც მამათმავლობა თუ დედათმავლობა მოსწონთ, უფლება აქვთ ეს ყველაფერი მოსწონდეთ, ის კი არა უფლება აქვთ თვითონაც იმამათმავლონ და იდედათმავლონ, მაგრამ რისი უფლება აქვთ იმ ქართველებს, რომლებსაც ეს ყველაფერი კატეგორიულად არ მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ასეთი რაღაც-რაღაცები მათ ტრადიციებს მათ რელიგიურ რწმენას, მათ ეროვნულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.

რისი უფლება აქვთ ამ კატეგორიის ქართველებს? ნუთუ მხოლოდ იმის, კინოთეატრების გარე პერიმეტრზე იდგნენ და მშვიდობიანი ფორმით აპროტესტონ?




რა აზრი აქვს ასეთ პროტესტს, თუ ის ვერაფერს შეცვლის და არავისგან არ იქნება შესმენილი.

ან რა არგუმენტია ის, რომ ეს ფილმი შვედეთში აჩვენეს, საფრანგეთში აჩვენეს და იქაური მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

არ ვართ ჩვენ შვედები, არ ვართ ჩვენ ფრანგები — ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებად გვინდა დავრჩეთ — ჩვენი ღირსებით და ნაკლით, ჩვენი კონსერვატორული შეხედულებებით და ტრადიციებით, ჩვენი რეილიგიური რწმენით და ჩვენი ადათ-წესით.

რატომ უნდათ ვიღაც-ვიღაცებს მაინცდამაინც შეგვცვალონ და გადაგვაკეთონ, გადაგვასხვაფერონ, გაგვაშვედონ ან გაგვაფრანგონ?

— ჩვენ შევცვლით ამ საზოგადოებას! — იქადნებიან რესპუბლიკელები. —რატომ უნდა შეგვცვალოთ, რა უფლებით უნდა შეგვცვალოთ, ვინ ხართ, საიდან მოხეტებულხართ, თქვე არამკითხე განმანათლებლებო? — კითხულობ ქართველთა ერთი ნაწილი და პასუხს ვერავისგან ვერ იღებენ.

— რუსული სცენარია ეს... საბჭოთა კავშირში უნდათ ჩვენი დაბრუნება — გასასვლელში დგას დავით ბერძენიშვილი და ადამიანებს ალიზიანებს, იმის იმედით, რომ იქნებ ვინმემ წყალობა მოიღოს და ერთი მამა-პაპური პანჩური ამოარტყას, რომ ხმაური აიწიოს — ადამიანის უფლებათა დამცველ პოლიტიკოსს ველური ქართველები სცემენო, ხოლო რატომღაც სახალხო დამცველად წოდებული ნინო ლომჯარია, რომელსაც, როგორც ჩანს, ხალხად მხოლოდ ლგბტ თემის წარმომადგენლები მიაჩნია, ანა სუბელიანის გაკაწრულ თავზე წუხს და საერთოდ არ ანაღვლებს იმ 27 ქართველის ბედი, რომელიც პოლიციამ „ჩორნი ვარონებში" შეყარა და გაურკვეველი მიმართულებით წააცუნცულა.

— ბარდებიდან ახლად გამომძვრალ თხასავით უაზროდ რომ ატრიალებს თვალებს ეს ლომჯარია, სახალხო დამცველია ეგ თუ სახალხო დამსმენი, ძალადობას რომ გვაბრალებს? — წერს ვიღაც ფეისბუქში და იქვე რამდენიმესართულიან გინებას უგზავნის ორიენტაციაარეულ ომბუდსმენს, რომელიც აშკარაა, რომ თავის ფუნქციებში ვერ არის გარკვეული.

— ცენზურას გვიწესებენ? რას უნდა ვუყუროთ, სხვებმა უნდა გადაწყვიტონ? საბჭოთა კავშირში ვბრუნდებით? — რიტორიკულ კითხვებს სვამენ ფსევდომედასავლეთეები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ სხვა ზედემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც ვერც ერთი ფილმი ვერ გავა კინოთეატრების დიდ ეკრანებზე, სანამ სკრუპულოზულ შემოწმებას არ გაივლის მაღალი კომპეტენციის სპეციალისტების მიერ.

ყველა კადრი, რომელიც ძალადობის, პორნოგრაფიის, ადამიანის ფსიქიკაზე სახიფათო ზემოქმედების ელემენტებს შეიცავს, იჭრება და იყრება და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ფილმს კინოთეატრებში ჩვენების უფლება.

ვითომ არ იციან ეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ყველაფრის გადაღება ნებადართულია, ყველაფრის ჩვენება ნებადართულია, ყველაფრის ნახვა ნებადართულია.

სახლში, კი, ბატონო, რასაც გინდათ იმას უყურეთ, მაგრამ კინოთეატრებში არა, რადგან კინოთეატრი არ არის ვინმე კერძო პირის საძინებელი ოთახი, ის საჯარო სივრცეა და იქ აუცილებლად უნდა მოქმედებდეს გარკვეული ნორმები და სტანდარტები.

ასე უყურებენ ამ საკითხს ცივილიზებულ და სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოებში.

— სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები — ისეთი მოწიწებით და სასოებით წარმოთქვამენ ამ სიტყვებს მავანნი და მავანნი, თითქოს ვიღაცის ეშინიათ, რომ ამ პრინციპების ღალატი არ დაბრალდეთ.

არასრულყოფილების კომპლექსს და რაღაც უცხო და უჩინარი ძალის წინაშე მონურ თავდადრეკას ჰგავს მათი საქციელი.

სიტყვის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, თავისი ჩარჩო და ამ ჩარჩოდან გასვლის შემთხვევაში ამ თავისუფლებებმა შეიძლება სახელმწიფოებრიობის საძირკველი შეარყიოს და დააზიანოს.

რაც შეეხება თავად ამ ფილმს „... და ჩვენ ვიცეკვეთ" ეს არის მზაკვრული ფილმი, ანტიქართული, ცინიკური ფილმი, რომელიც ღიად შეურაცხყოფს ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობებს და ასე თამაშ-თამაშით, ცეკვა-ცეკვით მოგვიწოდებს გაპიდარასტებისკენ.



„ქართული გენია — როკვით განფენილი" — ასე ახასიათებს გრიგოლ რობაქიძე ქართულ ცეკვას, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს ქართველი კაცის ხასიათი, მისი შეუპოვარი ბუნება, მისი შინაგანი ენერგია და გაუტეხლობა, მისი დამოკიდებულება ქალისადმი და ზოგადად, სამყაროსადმი.

ქართული ცეკვა ეს არის როკვაში განფენილი ფილოსოფიური კონცეფცია ქართველი კაცისა და საქართველოს შესახებ.

— სულ ტყუილად ფაფხურობთ თქვენ, სულ ტყუილად იქნევთ ხანჯალს, სულ ტყუილად ასრულებთ ამ ფანტასტიკურ ილეთებს, სინამდვილეში, არავინ არ ხართ თქვენ, ეს ყველაფერი ბლეფია და თქვენც ისევე მზად ხართ გაპიდარასტდეთ, როგორც სხვები — აი, ამას გვეუბნება ბატონი აკინი ამ მზაკვრული ფილმით.

იდიოტი, ან მოღალატე უნდა იყო, ამას რომ ვერ მიხვდე.

სამწუხაროდ, ერთიცა და მეორეც ძალიან ბევრი ჰყავს ამ ქვეყანას...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S. ეს წერილი უკვე სტამბაში ჩასაშვებად იყო გამზადებული, როცა ერთმა ახლობელმა, პროფესიით იურისტმა, დამირეკა და გულისტკივილით შემომჩივლა: ნუთუ იმ უამრავ ადამიანში, რომლებიც ახლა კინოთეატრებთან დგანან, ერთი იურისტი არ ურევია, რომ ამ ადამიანებს უთხრას: — აქ რას დგახართ, წადით და სასამართლოში იჩივლეთ, თუ ფიქრობთ, რომ ეს ფილმი რაღაცით არღვევს თქვენს უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი მუხლია, რომელიც ამ საკითხს არეგულირებსო.**

**უნდა გამოვტყდე: არ ვიცოდი! ეს რომ მცოდნოდა, ამ წერილსაც, ალბათ, სხვანაირად დავწერდი.**

**კარგი, მე არ ვიცოდი, მაგრამ საქართველოს პარლამენტში ნუთუ არავინ იცოდა, რომ მათ მიერ დაწერილ კონსტიტუციაში ასეთი მუხლი არის?!**

**პოლიციის კორდონი კი არა თურმე საქართველოს კონსტიტუცია უნდა გაგვეგზავნა მომიტინგეებისთვის და უნდა გვერჩია, რომ სასამართლოსთვის მიემართათ.**

**კონსტიტუციას თუ ვერ გავუგზავნიდით, რომელიმე პარალამენტარი მაინც გამოსულიყო ტელევიზიით და აეხსნა აღშფოთებული მოქალაქეებისთვის, როგორ უნდა ემოქმედათ კანონის ფარგლებში.**

**ვ.ხ.**

# ნუთუ ვერ ხვდებიან, ვასაძე, ფალავანდიშვილი და სხვები, რომ აკინის გეიფილმის ცოცხალ რეკლამად იქცნენ?

*გვესაუბრება პარტია „სოციალისტური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია*

**— 80-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში რაც უბედურება ხდება, ყველაფერზე ხელს რუსეთისკენ იშვერენ. ეს მიმართულება დღემდე გრძელდება ახალ-ახალი თავსატეხები გვიჩნდება და ყველაფერს რუსეთს ვაბრალებთ. ახლახან გეი-ორიენტაციის პროპაგანდისტული ფილმი აჩვენეს თბილისში და მოსახლეობამ ეს რომ გააპროტესტა ესეც რუსეთის ბრალიაო. რა ხდება, ბატონო ვალერი?**

— დიახ, 30 წელიწადია ინგრევა საქართველო. დაინგრა, ტერიტორიულად დაიშალა, მოსახლეობა განახევრდა, ცხოვრების დონე დაეცა, ხალხი მშვენივრად ხვდება, რომ უბედურება ტრიალებს საქართველოში, მაგრამ ვინც ყველაფერ ამის შემოქმედია, იმან ხომ იცის, რომ ხალხი მათ მიმართ უარყოფითად



იქნება განწყობილი? ამიტომ მისამართს გვაძლევენ — ყველაფერი რუსეთიდან მოდისო და ყველა ამ თავსატეხთან ერთად უნდათ, რომ საქართველო რუსეთის მტრად აქციონ. ამიტომ გვეუბნებიან და გაჯერებენ, რომ რუსეთია ყველაფერ ამის მიზეზი და განგვაწყობენ რუსეთის წინააალმდეგ.

მე კეთილისმყოფელი ვარ, მე გახლავართ სტრატეგიული პარტნიორი, თქვენთვის მინდა სიკეთე, მინდა თქვენს უბედურ წარსულს მოგწყვიტოთ და სრულიად ახალი დემოკრატიული, სიტყვის თავისუფლებით და გამოხატვის თავისუფლებით სავსე ცხოვრება შეგიქმნათო – გვარწმუნებენ ისინი.

სინამდვილეში, ყველა უბედურება, რაც საქართველოს სჭირს არის მათი ნახელავი.

ფიზიკურად ხომ დაგვანგრიეს, ტერიტორიულად ხომ დაგვშალეს, ახლა მენტალურად უნდათ, რომ გაგვანადგურონ. თქვენ უნდა შეიცვალოთ, უნდა დაივიწყოთ წარმოდგენები და შეხედულებები. მერე რა, რომ ის საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, მერე რა, რომ ფუნდამენტებზე იყო აღმოცენებული თქვენი რწმენა და იცავდით მას სისხლით და საკუთარი თავით, ყველაფერი ეს ჩამორჩენილობაა, წარსულის გადმონაშთია და სხვანაირები უნდა შეხვდეთ იმ მომავალს, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ და ქვეყანაში, რომელიც არის ღვინის კულტურის ქვეყანა, ნარკოტიკების ლეგალიზება უნდა მოვახდინოთო.

ბოლო დროს გვეუბნებიან: მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლობაო, ხომ გაიძახითო, მაგრამ ვინც არ ლოცულობს და ეკლესიაში ყოველ კვირა არ დადის, ისინიც კი ეკლესიის ავტორიტეტს აღიარებთო, ამიტომ ამ ვალდებულებათა და წარმოდგენათა ტყვეობიდანაც უნდა გაგათავისუფლოთო და ეკლესიაში დაიწყეს შეგზავნა ვიღაცების, სასულიერო პირების მოსყიდვა ჯიპებით, თანხებით და ა.შ. ბოლოს იქამდე მოვიდნენ, რომ ყველაზე მთავარს, 40 წლის განმავლობაში ქართველი ხალხი სულიერ მამად რომ მიიჩნევს და ცოცხალ წმინდანად რომ შერაცხა ერმა, 85 წელს გადაცილებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლს ეკლესიურად ცოდვათა შორის ყველაზე საშინელი ცოდვა დააბრალეს. არ მინდა ის სიტყვა ვახსენო პატრიარქთან დამოკიდებულებაში. იმედია, გასაგებია ყველაფერი.

ასეთი საშინელი რამე მოხდა საქართველოში.

ეს აზრი რომ განამტკიცონ, გამოჰყავთ ვითომ მოწმეები და ა.შ.

ამ შოკიდან გამოსვლა არც კი აცალეს მოსახლეობას, რაღაც ფილმი შემოგვთავაზეს, ახლა ეს ფილმი უნდა გავუშვათ ეთერშიო პრემიერააო და ერთი ამბავი ატყდა. აშკარა და პირდაპირი შტურმი ხორციელდება ქართულ ცნობიერებაზე. არ უნდა ჩაცხრეს ვნებათაღელვა, აზრზე რომ ვერ მოვიდეს ერი. ნაკვერჩხალი სულ უნდა ღვიოდეს. ზოგი იმას უნდა იძახდეს, ზოგი — ამას და ხდება კიდევაც ასე ირევა და იზილება ყველაფერი ერთმანეთში. ჩვენც ვისვრებით ამ ტალახში, ვგორაობთ, ჭუჭყში ვტრიალებთ და საშველი არ ჩანს.

ერთმანეთს დაეჯახა რეალური ღირებულებები — სიტყვის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლება, შემოქმედების თავისუფლება.

კაცმა ფილმი შექმნა ვიღაც უპირისპირდება და ამბობს, რომ არ უნდა გავიდეს ეკრანებზე. კი, მაგრამ, რა უფლებით არ უნდა გავიდეს. თუ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების მომხრე ხარ, ფილმი ეკრანებზე რატომ არ უნდა გავიდეს. შემოქმედების თავისუფლებას უპირისპირდები? — ე.ი. ჩამორჩენილი ხარ, მაგრამ რატომ უპირისპირდები. თუ ფილმი არ ვარგა, ნახავს მაყურებელი და თვითონ შეაფასებს. არავის არ მოსწონს კარნახი და მითითება.

**— ვინ კარნახობს, და უთითებს —„ქართული მარში“, ვასაძე და მისთანები? მათზე საუბრობთ?**

— არავინ დამისახელებია პიროვნულად. ზოგადად ვთქვი, ვიღაცა რომ მიკრძალავს, მე, მაყურებელს, ფილმის ნახვას, მიჩნდება პროტესტი — რას მიკრძალავ — მინდა ვნახავ, მინდა — არა და მერე ან მოვიწონებ, ან არ მოვიწონებ. ესაა თავისუფლება. ამ თავისუფლებას დაეჯახა ძალა, რომელიც ამბობს: მე ვიცავ თავისუფლებაზე უფრო მნიშვნელოვანს — ერისა და ქვეყნის ზნეობრივ სისუფთავესო. აქ გამიჩნდა პირადად მე ერთი სხვანაირი პროტესტი და რა არის ეს პროტესტი, აგიხსნით ახლავე.

ლევან ვასაძე გამოდის და ამბობს: ჩვენ ძლივს გავთავისუფლდით კომუნისტური კლანჭებისგან, ბოლშევიზმისგან და მარქსიზმისგანო. შე კაი დედმამიშვილო, მამათმავლობას ებრძვი და კომუნისტები და მარქსიზმი რა შუაშია?! იმ დროს ეს წახალისებული იყო თუ რა? პირიქით იყო, მამათმავლობა და ჰომოსექსუალიზმი დასჯადი გახლდათ. ვისაც გამოიჭერდნენ ასეთ საქმეში, ციხეში უშვებდნენ.

მაგრამ, თუ ვინმე შემოქმედების თავისულებას უპირისპირდება და ამბობს, რომ არის ისეთი ღირებულებები, რომელთა დაცვისთვის მოსალოდნელია მსხვერპლის გაღება და უარი ვთქვათ შემოქმედების, სიტყვის თავისუფლებაზე, ის ღირებულებები რომ შევინარჩუნოთ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს არის სწორედ კომუნისტური მეთოდი. სოციალისტური სისტემა თავის თავზე იღებდა საზოგადოებრის ზნეობრივ სიჯანსაღეს და მისი შეხედულებებით, რაც არ იყო მისაღები — კრძალავდა.

ანუ ფილმის ჩვენების მოწინააღმდეგეთა ლიდერებმა კომუნისტების ლანძღვით დაიწყეს მსჯელობა, არადა იქცევიან კომუნისტურად მათი აზრით, ცენზურა შემოაქვთ და ამბობენ, ფილმი, რომელიც არ მოგვწონს და საზოგადოებისთვის საზიანოდ მიგვაჩნია, უნდა შევვარდეთ კინოთეატრებში, გამოვრთოთ აპარატურა და დავბლოკოთ მისი დემონსტრირებაო. აი, სად არის წინააღმდეგობა. ამიტომ მათ მოვუწოდე და აქაც ვიტყვი: თუ უნდათ ამ მწვავე პრობლემების განადგურება, სისტემის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ, თორემ რამდენი მამათმავალი სადღაც გაირბენს, რამდენი ნარკომანი სადღაც ბოდიალობს, ცალ-ცალკე მათი დევნა შედეგს ვერ მოგვცემს. სისტემა უნდა შეიცვალოს.

**— ხელისუფლებაზე ბრძანებთ? ხელისუფლება უნდა შეიცვალოს?**

— მე ვსაუბრობ სისტემაზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ეს არის კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული სისტემა, სადაც ყველაფერი აგებულია ვაჭრობაზე, ყიდვა-გაყიდვაზე, მოგებაზე და ა.შ. ეს სისტემა ბადებს მანკიერებებს, ახალისებს მათ და



რაც მთავარია, ხელს უწყობს და აკანონებს მათ.

ვასაძე, ფალავანდიშვილი და სხვები პოლიციას დაუპირისპირდნენ, რადგან კანონი, რომელიც დღეს ფუნქციონირებს, არ აძლევს საშუალებას მოქალაქეს, ხელი შეუშალოს კინოჩვენებას. ეს დანაშაულია კანონის ენით.

პოლიციელი, რომელიც კორდონში იდგა, სინამდვილეში, ხალხის მხარესაა, ზნეობის მხარეს, მაგრამ კანონი არ აძლევს მას სხვანაირად მოქცევის საშუალებას. ამიტომ ვასაძეებს, ფალავანდიშვილებს და სხვებს თუ ზნეობრივი სახელმწიფო უნდათ, სისტემის შეცვლისთვის უნდა იბრძოლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პატივცემული ბატონები იქცნენ მოარულ, ცოცხალ რეკლამად იმ ფილმისთვის და იმ უბედურებისთვის, რაც მოხდა საქართველოში. იმ ზნედაცემულებსაც ეს უნდათ, რომ მერე თავიანთ უფროსებს მოსთხოვონ გრანტები ბნელ საზოგადოებასთან საბრძოლველად, საზოგადოების გასათანამედროვეებად და გასანათლებლად. აი, ეს შედეგი მოიტანა იმ შეხლა-შემოხლამ, რასაც ქმნიან „ქართული მარში“, ლევან ვასაძე და სხვები.

**— სამწუხარო კიდევ ის არის, რომ საქართველოში არ არსებობს რეგულაციები. მაგალითად, აშშ, ევროპის ქვეყნებში დიდ ეკრანებზე არაფრით არ შეიძლება პორნოხასიათის, ძალადობის და ა.შ. სიუჟეტების შემცველი ფილმების ჩვენება, როგორც პროპაგანდისტული აკრძალვით, ასევე საზოგადოებაზე მოსალოდნელი ფსიქიკური ზეწოლის გამო. ჩვენი სახელმწიფოს მესვეურები ამას რატომ არ ითვალისწინებენ?**

— თქვენ ცენზურაზე ლაპარაკობთ და არავის ეგონის, რომ ცენზურა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ასეთ თემებთან დაკავშირებით, არ არსებობს. ცენზურის არსებობა



შემოქმედებაში ქაოსს იწვევს. მაგრამ, რაც ხდება, ყველაფერი თავისუფლებისა და ცენზურის კვეთაზე მდებარე პრობლემა კი არ არის, არამედ არის უფრო ღრმა პრობლემა: ყოველივე ეს ჩვენმა ვითომ მეგობრებმა აქციეს ინსტრუმენტად მსოფლიოზე გაბატონების მიღწევის გზაზე. ამიტომაც ახალისებენ ხოლმე ფინანსურად, როგორც ომს, ბრძოლას ქვეყნების დასამონებლად და კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ, რადგან გარყვნილი, დეგრადირებული, ცნობიერებაწართმეული საზოგადოება, საზოგადოება, რომელმაც განიცადა ფსიქიკაზე მასშტაბური დარტყმა და დამარცხდა, ის უკვე დაცემულია.

თქვენს გაზეთში დაბეჭდილი თქვენი რედაქტორის, ვახტანგ ხარჩილავას სიტყვებს მოვიშველიებ: ადამიანთა რაღაც ჯგუფს ჯერ ელიტა უნდა დაარქვა, მერე ეს ელიტა უნდა გარყვნა პრივილეგიებით, ფულით, აღჭურვო ფსევდოავტორიტეტით, რომ შემდეგ ამ ელიტამ თვითონ გარყვნას დანარჩენი საზოგადოება — აი, კონცეფცია, რომელსაც ეყრდნობოდნენ და დღემდე ეყრდნობიან დამპყრობლები და კოლონიზატორები. – დიახ, ასეა, კიბოს უჯრედივითაა. ერთი დაავადებული ორგანო თუ გაჩნდა, მერე ის სპობს მთელ სხეულს.

როგორც დავინახეთ, ქართული საზოგადოებისთვის პოპულარული და პატივსაცემი პირი, ქალბატონი ნინო სუხიშვილი გაეროს მშვიდობის დაცვის კომისიის წევრობიდან გარიცხეს იმის გამო, რომ მან არ ითანამშრომლა ამ ფილმის რეჟისორთან გადაღებების დროს და არ გაუგზავნა მისი ანსამბლის მოცეკვავეები — ჩვენთან გეები არ ცეკვავენო. იმ სიტყვებისთვის, რაც ახლა თქვენთან ვილაპარაკე, მოსალოდნელია, მეც დავისაჯო და თქვენც ისე, თითქოს ამ საკითხის გამო კი არა, სხვა რამის გამო ვისჯებოდეთ. საქმე კი იქამდე მივა ბოლოს, რომ საზოგადოებას შეაშინებენ. ეს უზარმაზარი და უძლიერესი ძალაა. და ამის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი არაა. ჯერ მოიპოვებენ ფილმების გაშვების და პარადების ჩატარების უფლებას, მერე პატრიარქს მოსცხებენ ჭუჭყსა და ტალახს, ბოლოს საქართველოს პარლამენტს ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონს მიაღებინებენ. დასასრულიც დადგება, რაც არ უნდა დავუშვათ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ამ ქვეყანაში კანონი რომ კანონობდეს, პეტრე ცაავა ციხეში უნდა იჯდეს

**ვინ დგას ეკლესიაზე მიტანილი იერიშების უკან? რომელი პოლიტიკური ძალების ინტერესებში შედის ეკლესიის ავტორიტეტის შელახვა და დასუსტება და რატომ გააქტიურდა 2020 წლის არჩევნების მოახლოვებისთანავე სექსუალური უმცირესობების თემა? „საერთო გაზეთს“ განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**



— ყველა პრობლემის სათავე იმაში მდგომარეობს, რომ არც ნაციონალების დროს და არც ახლა სახელმწიფოს იდეოლოგია არ გააჩნია. ეს არის ქვეყანა, სადაც ავტორიტეტებს ებრძვიან და უკვე პატრიარქამდეც მოაღწიეს. გაგახსენებთ, როგორ დაიწყო სააკაშვილის დროს მიღებული ზოგადი და უმაღლესი განათლების კანონებით ზოგადი და უმაღლესი სკოლის მასწავლებლების „ჩარეცხვა“ და ავტორიტეტის ფეხქვეშ გათელვა. ერთადერთი ცოცხალი ავტორიტეტი, რომელსაც ამ დრომდე ვერ შეეხნენ, პატრიარქია და ამასაც დაარტყეს, იმიტომ, რომ მათი გაგებით, გადამწყვეტ ბრძოლაში არიან. მე და უამრავ ადამიანს, რომელიც ჩემსავით ფიქრობს, არ გვინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ავტორიტეტები არ იქნებიან და იდეილოგია არ იქნება.

**— საბერძნეთის პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიის და ქვეყანაში აღიარებული სხვა რელიგიების საჯარო შეურაცხყოფა ორ წლამდე პატიმრობით დაისჯება. რამდენჯერმე ჩვენთანაც იყო მსგავსი კანონის მიღების მცდელობა, თუმცა უშედეგოდ.**

— იმიტომ ხდება რაც ხდება. ის, რაც პატრიარქის მისამართით გაჟღერდა, შეურაცხყოფაც არის, ბრალდებაც და ყველაფერი ერთად. კანონი რომ კანონობდეს, ვინმე პეტრე ცაავა ციხეში უნდა ჩასვან. ვაი უბადრუკნო, როგორ შეიძლება, რომ ეს ბრალდებები ვინმემ დაიჯეროს? რა უფლება გაქვთ, რომ ასეთ შეურაცხყოფას აყენებთ პატრიარქს და სხვა მაღალი სასულიერო იერარქიის პირებს.

**— თქვენი აზრით, ეკლესიაზე იერიშის მიტანა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება-არაღიარების თემას უკავშირდება?**

— არა მარტო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ხალხი მარტო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კი არა, ქრისტეს ეკლესიას ებრძვის. მაქვს ბედნიერება პირადად ვიცნობდე ეკლესიის საჭეთმპყრობელს და შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვყავს უაღრესად პრინციპული, ობიექტური, სიმართლის მოყვარე, სიმართლის დამცველი, უშიშარი და შეუვალი პატრიარქი. გამორიცხულია, რომ მან ღვთისგან დადგენილ წესს გადაუხვიოს ან ამის მცდელობას წინააღმდეგობა არ გაუწიოს. ამიტომ სარგებლობს ჩვენი პატრიარქი მართლმადიდებლურ სამყაროში და მთელ მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტით და ამიტომ არის ასეთი გაშმაგებული ბრძოლა ეკლესიისა და მისი მეთაურის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ყველა ქვეყნის პატრიარქს არ აქვს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები და ბევრი დათმობებზე წავიდა. უწმინდესისგან ეს გამორიცხულია. ღვთით დადგენილი სიბრძნის საწინააღმდეგო მიმართულებით იოტისოდენა დათმობას არ გააკეთებს და ეს არის ყველაფრის მიზეზი. ეკლესიის მტრებმა მშვენივრად იციან საეკლესიო სამართალი. ხვდებიან, რომ სანამ პატრიარქი ცოცხალია, მიზანს ვერ მიაღწევენ და ისეთი ბრალდებები გააჟღერეს, რომ შეიძლება ადამიანს ნერვიულობის საფუძველზე გული გაუსკდეს

**— ალბათ იცით, რომ ნინო ბურჯანაძემ პეტრე ცაავას მიერ გაჟღერებული ბრალდება პატრიარქის მკვლელობის მცდელობად შეაფასა..**

— ნამდვილად ასეა. იმედი ჰქონდათ, რომ ასაკოვანი ადამიანის ჯანმრთელობა ასეთ დარტყმას ვერ გაუძლებდა. ასე, რომ ახლა ენის მოჩლექით ლაპარაკის დრო არ არის, რადგან საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს ეხება. იმ ინტელიგენციამ, რომელიც სააკაშვილის დროს გაჰყვიროდა, ხმა უნდა ამოიღოს. ერთდროულად ურტყამენ: ეკლესიას და პატრიარქს, სკოლას, ეროვნულ სასწავლო გეგმებს, მასწავლებელთა კორპუსს ცვლიან და ა.შ. დაინტერესდით რა ხდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რას ასწავლიან ამერიკასა და ევროპაში ბავშვებს 1-6 კლასის ბუნებისმეტყველებაში და რას ასწავლიან აქ. ფაქტობრივად, ჩვენთან არაფერს ასწავლიან. მე-7 კლასიდან საბუნებისმეტყველო საგნები ამოაგდეს. მერე



ფიზიკოსებმა და ქიმიკოსებმა იბრძოლეს და ჩაასმევინეს. ქიმიის ორი საათი მისცეს და ისტორიის ერთი საათი მისცეს „სამოქალაქო განათლებას“, რომელიც არცერთ ქვეყანაში არ ისწავლება და წესით, არც ჩვენთან უნდა ისწავლებოდეს. იცით, რატომ იკლავენ თავს ამ „სამოქალაქო განათლებისა“ და „მე და საზოგადოებას“-თვის? იმიტომ, რომ ზუსტად აქედან მოდის მთელი გარყვნილების პროპაგანდა და გადაგვარება, თანაც გრანტირებულია და მილიონობით დოლარი მოჰყვება. მოდი, დავინტერესდეთ რატომ წავიდა მიხეილ ბატიაშვილი, თუ კარგად მუშაობდა? მე დიდი ხანია მაქვს ინფორმაცია, რომ მის შემცვლელს ეძებდნენ და მაია მიმინოშვილი რომ დათანხმებულიყო, ბატიაშვილს უფრო ადრე შეცვლიდნენ.

**— განათლების მინისტრების ხშირ ცვლაზე რა აზრის ხართ?**

— როგორ შეიძლება ეს მომწონდეს? მინისტრები მიდიან და მოდიან, აცილებენ და მადლობას უხდიან. რა ხდება ბოლოს და ბოლოს? სუფრაზე ხომ არ ვართ? როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირი მიდის, უნდა მოხდეს პარლამენტის და მთავრობის მხრიდან შეფასება, რომ საზოგადოებამ გაიგოს რა გაკეთდა და რა არა. ბატიაშვილის მუშაობაზე სკოლებში შექმნილი ვითარებაც მეტყველებს — გამოცდები მოიხსნა, ბავშვებმა წიგნები გადაყარეს, სკოლაში არ დადიან და ა.შ. წარმოუდგენელია, რომ ქვეყანა ატარებდეს ღრმა რეფორმებს და კონცეფცია, სტრატეგია და რეალიზაციის გეგმა არ არსებობდეს.

**და ბოლოს, ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში პეტრე ცაავამ განაცხადა, რომ ეკლესიიდან მის განკვეთას და ამის შემდეგ პოლიტიკაში წასვლას არ გამორიცხავს.**

**ჯოჯოხეთს ერთი მაშხალა აკლდაო – სწორედ ამაზეა ნათქვამი.**



ნელი თორდია
571 35 36 88

# პეტრე და ეშმაკი

## (რელიგიური ნოველა)



— მეუფეო, კართან ვიღაც ბოგანო დგას და თქვენს ნახვას ითხოვს, — მოწიწებით და თან განაწყენებული სახით მოახსენა მიტროპოლიტ პეტრე ცაავას ანაფორაში გადაცმულმა მსახურმა.

— ჰკითხე, ვინ არის და რა უნდა? — მიუგო მთქნარებით პეტრემ.

— ცოცხალი თავით არ ამბობს, ვინ არი და რა დოზანა უნდა, თქვენმა მზემ, თორემ ვკითხე, განა არ ვკითხე?

— კარგი, ჯანდაბას, შემოათრიე, ალბათ აღსარების ჩაბარება უნდა, ან ფული ენდომება, ან კიდევ სალაფავი, — ისევ დაამთქნარა პეტრემ და გაიზმორა.

— ეხლავე შემოვათრევ, თქვენო უბრწყინვალესობავ და თავსაც გავუჩეჩქვავ, დილაუთენია რომ შეგაწუხათ! — თქვა ანაფორიანმა და ნახევრად ღია კარში გაძვრა.

მდიდრულად მოწყობილ კაბინეტში ღარიბულად ჩაცმული გლეხი შემოვიდა, ხელში ნაბდის ქუდი ეჭირა და პერიოდულად ჭმუჭნიდა. ტალახიანი "კალოშების" ზემოთ შიშველი წვივები მოუჩანდა, მუხლისთავებზე გაწყალებული შარვალი ალაგალაგ ამოკემსილი ჰქონდა. პეტრეს კისერთან მუთაქა ამოედო და სავარძელში ნებიერად მიწოლილიყო, ბოგანოს დანახვაზე არც კი წამოწეულა.

— ვინ ხარ და საიდან მოსულხარ? — მოწკურა თვალები პეტრემ.

— ქვესკნელიდან ამოვედი, მამაო, — ამოილუღლუღა ბოგანომ.

— ქვესკნელიდან?

— დიახ, სწორედაც რომ ასეა.

— რას ბოდავ, რა ქვესკნელი და რომელი ჯოჯოხეთი?! — სახე წამოუწითლდა პეტრეს და კედელზე ჩამოკონწიალებულ მიხეილ სააკაშვილის სურათს ამაყად გახედა, — იცოდე, მე მამაო კი არა, მეუფე ვარ, მიტროპოლიტი!

— ვიცი, მამაო... თუმცა უახლოეს დღეებში აღარც მეუფე იქნები, აღარც მიტროპოლიტი და აღარც მამაო, ეკლესიიდან გაგდებას გიპირობენ.

— ჰი, ჰი, ჰი... მე მიპირობენ გაგდებას?!

— დიახ, როდესაც მიტროპოლიტობას დაკარგავ, გირჩევ, მეტროპოლიტენში დაიწყო მუშაობა, მეტროპოლიტი იქნები.

— ხუმრობ, ხომ?

— სულაც არა, ვინაიდან მეტროპოლიტენი ძალიან ახლოსაა ქვესკნელთან, ხშირად შევხვდებით.

— მამა ჯამბულ, მომაშორე, ეს ვინ ოხერი და მუდრეგი შემომიყვანე აქა? — გასძახა პეტრემ კართან ატუზულ ანაფორიანს.

— ეხლავე, თქვენო უბრწყინვალესობავ! — მამა ჯამბული ბოგანოს მივარდა და ჯაჯგური დაუწყო, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

— ჩემით მოვსულვარ და ჩემითვე წავალ, ახლა მივიღებ ჩემს ნამდვილ სახეს და გაკვირვებულს დაგტოვებ! — აიქნია ხელი ბოგანომ.

— ჰი, ჰი, ჰი... მიდი, მიიღე, გამამხიარულე! — გადაიხარხარა პეტრემ და თვალებზე მომდგარი ცრემლები მაჯით მოიწმინდა.

ბოგანო შეხტა, ჰაერში დაბზრიალდა, უცებ ფერი იცვალა, ხან გალურჯდა, ხან გაწითლდა, ხან გაყვითლდა, ერთი გემრიელად ამოაბოყინა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. მას აღარ ეცვა ღატაკი გლეხივით, ახალგაზრდა კაცად გადაქცეულიყო. ჯამბული მივარდა, ზურგზე დააჯდა, თავი შემოუტრიალა და იღრიალა:

— თქვენო უბრწყინვალესობავ, ეს მეგისია, ქარდავა, თქვენი ძველი მეგობარი!

— მეგისი?! — პეტრეს ერთი გააჟრჟოლა, მუხლები აუცახცახდა, მარჯვენა ფეხი ღონივრად გაიქნია და იმანაც იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

პეტრე წყლიდან ამოგდებული თევზივით ფართხალებდა. კაბინეტში არავინ იყო. ყველა და ყველაფერი გამქრალიყო, გეგონება ბურუსს მოეცვა ყოველივე.

— მეუფეო, მეუფეო, ჩემო ბრწყინვალებავ, ეს რა მოგსვლია, ეს რა დღეში ხარ, ვინ ოხერმა ჩამოგაგდო საწოლიდან?! — ოდნავ გამოაფხიზლა პეტრე ერთ-ერთი იღუმენიას მოთქმა-გოდებამ.

— ავი ამბავი მეზმანა, ჩემო იღუმენიავ, ძალიან ავი და საზარელი, მეგისმა, ჩემმა მეგობარმა არასახარბიელო მომავალი მიწინასწარმეტყველა. არ დაიჯერებ, ის ჯერ ბოგანოს გარეგნობით გამომეცხადა, შემდეგ კი თავისი ნამდვილი სახე მიიღო და გაქრა, — ამოიგმინა პეტრემ.

— უი, უი, აგრემც შენი ლოცვა და კურთხევა ნუ მომეშლება, განა სიზმარი დასაჯერებელია? — შემოირტყა ლოყაზე ხელი იღუმენიამ.

— მამა ჯამბულს დამიძახეთ, ეგეც იქ იყო, შეიძლება რამე უწყოდეს.

— ახლავე დავუძახებ, არაფერზე იდარდო... ოღონდ, მოდი, იატაკიდან წამოგაყენო, ასე ხომ არ იქნები გაშხლართული? სხვაც რომ არა იყოს, გასცივდები, ისედაც რადიკულიტი გაწუხებს.

იღუმენიამ ხელები იღლიებში ამოსდო და დივანზე ხვნეშით მიაწყვინა.

ოთახში მამა ჯამბული შემოვიდა, აღელვებული ჩანდა, იღუმენიამ უკვე აცნობა, რომ მეუფეს ავი ამბავი ეზმანა და საწოლიდან გადმოვარდა. მამაოს ვეღარ გაეგო, ხელები სად წაეღო.

— მოდი, ჩემო ჯამბულ, სასთუმალთან ჩამომიჯექი, უნდა გაგესაუბრო, — მიმართა ღონემიხდილმა პეტრემ.

— ჰო, თქვენო უბრწყინვალესობავ, გავიგე, ავი ამბავი გზმანებიათ, ძალიან შევწუხდი, ბაგეზე ცრემლი აღარ მიშრება, — მიუგო ანაფორიანმა და სასთუმალთან ჩამოჯდა.

— ჩემო სულიერო შვილო, როდესაც მეგის ქარდავა გამომეცხადა, შენც იქ იყავი, მომიყევი, რა უნდოდა იმ შეჩვენებულს, მე ხომ ბოლომდე ვუერთგულე და 2012-ში საზღვრამდე მივაცილე, ფულიც ხომ გავატანე? — ჩაეკითხა პეტრე გაოგნებულ მამაოს.

— ჰო, იქ ვიყავი, თქვენო უბრწყინვალესობავ, მაგრამ...

— ეჰ, მეც ვამბობ, რაღა... ეს ხომ მხოლოდ ზმანება იყო და მხოლოდ მე უნდა მენახა?

— დიახ, მხოლოდ თქვენ, აბა, მე თქვენი ფეხის მტვერს ეგეთ გრანდიოზულ ამბებს ვინ მანახებს? — მოისაწყლა თავი ჯამბულმა.

— ჩემო სუყველაყავ, მე ყოველდღე ათასნაირ ზმანებას ვნახულობ, მაგრამ ერთიც არ აცხადებულა... გუშღამ მიშა მესიზმრა, მრავალრიცხოვანი ლაშქრით მოსდგომოდა საქართველოს საზღვრებს, ადრეც ვნახე იგივე, მაგრამ გავახილე თვალები და ფაფუ, არც მიშაა, არც ლაშქარი, — ანუგეშა იღუმენიამ პეტრე და საფეთქლები იაზმით დანამული თითებით დაუზილა.

— არა, ჩემო იღუმენიავ, ეს რაღაც სხვა იყო... გარდა ამისა, ბოლო დროს აშკარად ვგრძნობ ჩემდამი მტრულ დამოკიდებულებას. მემტერებიან, მიშა რატომ მოგწონსო, როლანდიე რატომ მოგწონსო, ახალაიების ლაქია იყავიო. აღარ გათავდა ეს ყალბი კერპი, ვითომ წმინდანი, მიშას ცოტაც რომ დასცლოდა, პატრიარქად აღმასაყდრებდა და მერე მე ვიცოდი, რასაც მივაგებდი ამ ბოგანოებს. "ციანიდის" საქმეც ჩავარდა, აბდალია მამალაძე, მოაღო პირი და ყველაფერი დაფქვა. თუმცა დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია, სანამ ეს პიდარასტები გადამაყენებენ, სანამ ეს გოთვერნები გამანადგურებენ, იქით მოვუღებ ბოლოს, — გააღრჭიალა კბილები პეტრემ და თავი საფიქრალს მისცა.

●

თბილისი, 2019 წელი, 31 ოქტომბერი, საქართველოს საპატრიარქო, წმინდა სინოდის სხდომა.

მეუფე პეტრეს მხარზე მიხეილ სააკაშვილი დასჯდომოდა. ის ყვავად გადაქცეულიყო. ერთი ერთ ყურში ჩასჩხაოდა, მეორე — მეორეში, მიდი, პეტრე, მიდი, ნუ გეშინიაო. პეტრეს თავში ჟრუანტელი უვლიდა, გეგონება ახალაიების მთელი საგვარეულო შიგ დაურბოდა და პერიოდულად ქალა უნდა აეხადათ. ისინიც ჩხაოდნენ, მიდი, პეტრე, მიდი, ნუ გეშინიაო.

პეტრეს არც ეშინოდა, ისედაც ჰქონდა გადაწყვეტილი, პატრიარქისთვის დაერტყა და საბოლოოდ ჩამოეშორებინა, მაგრამ თან ყოყმანობდა, იყო კი ახლა შესაფერისი დრო?

— მიდი, პეტრე, მიდი, ნუ გეშინია, დაარტყი პატრიარქს, დავბრუნდები და ეგრევე ალგასაყდრებ, — ჩასჩხავლა სააკაშვილმა.

— აუცილებლად, შვილო ჩემო, ეს ომი უნდა მოვიგოთ, — ჩაიდუდუნა პეტრემ.

— მიდი, უთხარი, რომ ის ყალბი კერპია, არაფრის მაქნისი... ისიც უთხარი, რომ ეკლესიაში მამათმავლები ბატონობენ და ის მათი უსტაბაშია. ვიცი, ამის შემდეგ ატყდება ერთი ამბავი, პატრიარქის მონები დარბაზიდან გაგიყვანენ, მაგრამ მანამდე მოასწარი, მოხუცი მიახრჩე, — ჩასჩხავლა ისევ სააკაშვილმა.

— ნეტა იცოდე, როგორ მინდა მისი მიხრჩობა, — ჩაილაპარაკა პეტრემ და გრძელ მაგიდასთან მსხდომი კოლეგები შეათვალიერა.

— მიდი, პეტრე, დროა! — კიდევ ერთხელ ჩასჩხავლა სააკაშვილმა და პეტრეც ეგრევე წამოიჭრა ლომივით ზეზე, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთას ლომად წარმოიდგინა თავი.

— პატრიარქო, მე თქვენ არ მიყვარხართ, ან კი რაზე უნდა მიყვარდეთ? მე ჯერ მიყვარს ღმერთი, შემდეგ სამშობლო, ბოლოს კი გეუბნებით, თქვენგან ტყუილად ქმნიან კერპს. ეკლესიაში მამათმავლები ბუდობენ, მოწმეებს მოგიყვანთ, მათ ხელს უწყობთ, მათი მეთაური ხართ! — ღრიალებდა პეტრე, თან ხელებს პარჭყავდა.

— რა გინდა, პეტრე, რატომ მწამებ ცილს და რატომ მლანძღავ? — წარმოთქვა პატრიარქმა დაბალი ხმით.

— გლანძღავთ კი არა, გამხელთ, როგორც ყალბ კერპს! — იყვირა ისევ პეტრემ და მისი უწმინდესობისკენ გაიწია.

პეტრე სინოდის წევრებმა გააკავეს და გარეთ გამოიყვანეს. ხოლო რამდენიმე წუთში მას მიტროპოლიტობაც ჩამოართვეს, მეუფეობაც და მღვდელთმთავრობაც. პატრიარქმა ურჩია, წასულიყო შიომღვიმის მონასტერში და მოენანიებინა. პეტრემ ამ წყალობაზე უარი განაცხადა და მონანიებაც არ იკადრა. ის თავის მრევლს არწმუნებს, ისტორია გმირად შემრაცხავს და ძეგლსაც დამიდგამენო. ძეგლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, ზამთარში "ფეჩსაც" არ დაუდგამენ. ავი ენები ამბობენ, თავის დამქაშებს მოუწოდებს, პატრიარქი ლინჩის წესით უნდა გავასამართლოთო. მართლა ვაგზლის ჯიბგირი ყოფილა, ეს ტარტაროზი, რომელსაც მხარზე სააკაშვილი აზის.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# უცნაური ფაქტია – აშშ-ს პრეზიდენტობისთვის იბრძვიან არა პოლიტიკოსები, არამედ მილიარდერები



მოვლენები მსოფლიო პოლიტიკაში ელვისებურად იცვლება. ექსპერტების შეფასებით, მსგავსი პოლიტიკური გაურკვევლობა, სამყაროს დიდი ხანია არ ახსოვს. პლანეტაზე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, სადაც შედარებით სიმშვიდე სუფევს. პოლიტოლოგების შეშფოთებას ის გარემოებაც იწვევს, რომ მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფლების პირველი პირები არანაირ დათმობაზე არ მიდიან და „ჯიქურ“ პოლიტიკას ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც რადიკალურ ზომებს მიმართავს.



სამხრეთ ამერიკაში, ერთბაშად ოთხ ქვეყანაშია არასტაბილური ვითარება. ჩილეში, ეკვადორში მოსახლეობის უკმაყოფილება ტრანსპორტზე და სხვა სფეროში ფასების მომატებამ გამოიწვია, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. მშვიდობიანი დემონსტრაციები არეულობებში გადაიზარდა. ჩილეში 20 ადამიანი დაიღუპა, როგორც სამართალდამცავებთან, ასევე ურთიერთ შეტაკებაში. ეკვადორის ხელისუფლებას დედაქალაქიდან გახიზვნაც მოუხდათ. თუმცა, მათ შეძლეს ვითარების განმუხტვა. ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი კი კვირას იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო. იგი ქვეყნის სათავეში 13 წელი იმყოფებოდა. საინტერესოა, რომ ახლახან გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში მორალესმა კვლავ გაიმარჯვა. ოპოზიციამ არალეგიტიმურად ჩათვალა არჩევნები და საპროეტსტო აქციები ააგორა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. სამხედრო მაღალჩინოსნებთან საუბრის შემდეგ მორალესმა გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. მიზეზად მოსახლეობაში დაპირისპირების თავიდან აცილება და ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნება დაასახელა. თუმცა, უკვე არის მსხვერპლი — დაუზუსტებელი ინფორმაციით 5 ადამიანია დაღუპული.

ბოლივიაში განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანტონიო გუტერიში, რომელმაც სიმშვიდისკენ მოუწოდა ქვეყნის მოსახლეობას. პოლიტოლოგების ნაწილმა ბოლივიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასეს. თავად მორალესი ქვეყნის დატოვებას არ აპირებს. მომხდარის ზუსტ დეტალებს, სავარაუდოდ მომავალში გავიგებთ. თუმცა, ექსპერტების განცხადებით, ბოლივიაში მოხდა ე.წ. „ფერადი რევოლუცია“, რომელიც სამხრეთ ამერიკის ბევრ ქვეყანაში მცდელობის მიუხედავად ვერ განხორციელდა, მორალესის გადადგომის მიუხედავად, ბოლივიაში ქაოსი კვლავ გაგრძელდა. მომხდარის გაანალიზებამდე შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში დემოკრატიული პრინციპები უკანა პლანზე გადადის და ადგილს ძალადობას უთმობს.



მოულოდნელი, შეიძლება ითქვას სენსაციური მოვლენები ამერიკის შეერთებული შტატების შინაურ პოლიტიკაში ლამის ყოველდღიურად ხდება. გასულ კვირას ცნობილმა მილიარდერმა მაიკლ ბლუმბერგმა გამოთქვა სურვილი წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების პრაიმერში მონაწილეობისთვის. მისი განცხადებით „დემოკრატიული პარტია დასუსტდა და ღირსეულ პოლიტიკოსების მწვავე დეფიციტს განიცდის, აქედან გამომდინარე, დონალდ ტრამპს დიდი შანსი აქვს მეორე ვადით გახდეს პრეზიდენტი. ამიტომაც გადავწყვიტე კენჭი ვიყარო“. მაიკლ ბლუმბერგი 77 წლისაა, იყო ნიუ-იორკის მერი. მისი ქონება 52 მილიარდად არის შეფასებული. და აშშ-ი მილიარდერთა პირველ ათეულშია. (შედარებისთვის, ტრამპი 3 მილიარდის მფლობელია). საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ადრე ბლუმბერგი რესპუბლიკელების ბანაკში იყო, ახლა დემოკრატებისგან აპირებს არჩევნებში ჩართვას. უცნაური ფაქტია — აშშ-ი პრეზიდენტის სავარძლისთვის იბრძვიან არა პოლიტიკოსები, არამედ მილიარდერები. გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან აშშ-ს ექსპერტების შეფასებით: „ქვეყანაში იმდენად მძიმე სოციალური ვითარებაა, შეიძლება ითქვას დენთის კასრზე ვზივართ“. მათივე განცხადებით აშშ-ი სიმდიდრე ერთეულების ხელშია.

ბლუმბერგის „სცენაზე“ გამოჩენით, დონალდ ტრამპის ძირითადი კონკურენტის ჯო ბაიდენის პოლიტიკური „აქციები“ კიდევ უფრო დაეცა. ამის გარდა, რესპუბლიკელი კონგრესმენები ითხოვენ მისი შვილის, ჰანტერ ბაიდენის დაზვერვის კომიტეტის საჯარო მოსმენაზე დაბარებას. საჯარო მოსმენები აღნიშნულ კომიტეტში ამ კვირაში დაიწყება. უკვე შედგა რამდენიმე ჩინოვნიკის დახურულ კარს მიღმა მოსმენა. როგორც ირკვევა, თანაშემწეები ტრამპს სთხოვდნენ უკრაინასთან ურთიერთობის მოგვარებას, თუმცა პრეზიდენტს თავისი აზრი აქვს ყველა საკითხში. აშშ-ის უკრაინაში სპეც. წარმომადგენლის კურტ უოლკერის განცხადებით, ტრამპს თავიდანვე არ სჯეროდა, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი დაიწყებდა კორუფციასთან ბრძოლას —„... ისინი (უკრაინელები) ყველა კორუმპირებულები არიან. არ მინდა მათზე დროის კარგვა“ — უთქვია დონალდ ტრამპს. თავად ზელენსკის ჯერაც არ უპასუხია ტრამპისთვის, როდესაც მან განაცხადა, რომ მოხარული იქნებოდა უკრაინელი კოლეგის თეთრ სახლში ხილვით.

ამასობაში კი დონალდ ტრამპი თავს წარმატებით იცავს და შეტევაზეც გადადის. გასულ კვირას ჟურნალისტებს განუცხადა: „... ზელენსკის ორჯერ ვესაუბრე. ნახეთ მეორე ჩანაწერიც, რომელსაც მალე გავასაჯაროებ და თუ იპოვით რაიმე კანონსაწინააღმდეგო გამონათქვამს“. თეთრი სახლის ადმინისტრაციის მტკიცებით, უკვე გამოქვეყნებული ჩანაწერებით თუ დოკუმენტები არანაირ იმპიჩმენტის საფუძველს არ აძლევენ დემოკრატებს. ამის გარდა, არც სენატი დათანხმდება იმპიჩმენტს. ექსპერტები გაოცებას ვერ მალავენ, რატომ უჭერს მხარს მოსახლეობის ნაწილი იმპიჩმენტს, როდესაც ტრამპი აშშ-ს აღორძინებას ქადაგებს, შემცირდა უმუშევრობა და ეკონომიკაც ააღორძინა.

ამერიკელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ჩავა თუ არა გაისად დონალდ ტრამპი მოსკოვში გამარჯვების დღის აღსანიშნავ აღლუმზე. „... რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკვე მიმიწვია. სურვილი მაქვს ჩავიდე. თუმცა იმ პერიოდში გაგანია საარჩევნო კამპანია იქნება. თუ მოვახერხე აუცილებლად ჩავალ“ — უპასუხა პრეზიდენტმა.

ბერლინის კედლის დანგრევიდან 30 წელი გავიდა. გერმანიაში დიდი ზეიმით აღნიშნეს საიუბილეო თარიღი. გერმანელი პოლიტოლოგების ნაწილი აღნიშნავს, რომ კედელი, მართალია დაინგრა, მაგრამ გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობის გაერთიანება ჯერაც ვერ მოხდა. მოსაზრებას იზიარებს კანცლერი ანგელა მერკელი. მისი თქმით მსგავს პროცესს 50 წელი მაინც სჭირდება. აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგან მათ არასრულფასოვან მოქალაქეებად მიიჩნევენ. ბევრ მსხვილ დასავლელ ფირმებს იქ წარმომადგენლობაც არ ყავთ. პოლიტოლოგების განცხადებით, გერმანიაში რეალური დემოკრატიული მმართველობა 1919-1933 წლებში იყო. მათივე თქმით, ტერიტორიული მთლიანობა კი აღდგა, მაგრამ ერის გაერთიანება ჯერაც ვერ შედგა.

გერმაიაში, საიუბილეო ღონისძიებაზე იმყოფებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო, რომელმაც მოუწოდა ევროპის ქვეყნებს გაზარდონ ნატოს წევრობის გადასახადი, რათა გადაარჩინონ ალიანსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პომპეოს განცხადებით ორგანიზაცია დაკარგავს თავის ეფექტურობას. „... ნატოს გაფართოება და ცვლილება სჭირდება. დღეს რუსეთს KKGB-ს ოფიცერი მართავს, რომელიც თავს ესხმის მეზობელს ქვეყნებს“ — განაცხადა პომპეომ ბერლინში. როგორც ვხედავთ, პრეზიდენტს და სახელმწიფო მდივანს რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ რუსეთთან მიმართებაში.



განსხვავებული აზრი აქვს საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს. გასულ კვირას ბრიტანულ გამოცემას განუცხადა: „... რაც ახლა ხდება ნატოს ტვინის სიკვდილია. ალიანსის შიგნით არანაირი კოორდინაცია არ არსებობს. აშშ-მა და თურქეთმა ისე განახორციელეს სამხედრო ოპერაცია, ალიანსის წევრების საქმის კურსში არ ჩაგვაყენეს“. მის მოსაზრებას არ იზიარებენ მერკელი და პომპეო. მათი განცხადებით ნატო ევროპის მნიშვნელოვანი პარტნიორია. მაკრონის განცხადებით „,...ევროპას სხვა გზა არ აქვს, რუსეთს კარი უნდა გავუღოთ“.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ოცდაერთი გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N38)

თავისუფალი ნების არსებობაში ეჭვის შეტანაში თუ ადამიანის ნამდვილი ბუნების შესწავლაში არაფერია ახალი. მაგრამ ჩვენ ადრე არ გვქონია ტექნოლოგია და ტექნოლოგია ცვლის ყველაფერს. ძველი ფილოსოფიური პრობლემები ხდება ინჟინერიის და პოლიტიკის პრაქტიკული პრობლემები. ფილოსოფოსებს აქვთ დიდი მოთმინება. მათ შეუძლიათ რაღაცაზე კამათი სამი ათასი წლის მანძილზე. ინჟინრები უფრო მოუთმენლები არიან და ყველაზე მოუთმენლები არიან პოლიტიკოსები. როგორ ფუნქციონირებს ლიბერალური დემოკრატია მაშინ როდესაც მთავრობებს და ფირმა-საწარმოებს შეუძლიათ ადამიანთა პირატაჟი? რა რჩება რწმენისგან რომ „ამომრჩეველმა უკეთესად იცის“ და რომ „კლიენტი არასოდეს ცდება?“ როგორ იცხოვრებთ როდესაც დაინახავთ რომ თქვენ ხართ ცხოველი რომლის პირატაჟიც შეიძლება, რომ თქვენი გული შეიძლება იყოს მთავრობის აგენტი, რომ თქვენი ტვინის ის ნაწილი რომელზეცაა



დამოკიდებული თქვენი ემოციების წარმოქმნა და თქვენი მეხსიერება შეიძლება პუტინისთვის მუშაობდეს და რომ თქვენს გონებაში გაჩენილი აზრი შეიძლება იყოს შედეგი ალგორითმისა რომელიც თქვენ უკეთესად გიცნობთ ვიდრე თქვენ იცნობთ თქვენს თავს? ესაა დღეს უმთავრესი კითხვები. სამწუხაროდ ადამიანთა უმრავლესობა არ ფიქრობს ამ კითხვებზე. იმის მაგივრად რომ იფიქრონ იმაზე თუ რა გველის „თავისუფალი ნების“ ილუზიის მიღმა ადამიანები თავს აფარებენ კიდევ უფრო ძველ ილუზიებს. ხელოვნური გონიერების და ბიოინჟინერიის გამოწვევის მიღების მაგივრად ბევრი ადამიანი ეჭიდება რელიგიურ და ნაციონალისტურ იდეებს რომლებიც ლიბერალიზმზე უფრო ნაკლებად პასუხობენ დღევანდელობის მეცნიერულ რეალობებს. ახალი პოლიტიკური მოდელების მაგივრად გვთავაზობენ XX საუკუნის თუ შუა საუკუნეების გადაკეთებულ ნარჩენებს. როდესაც აყვებით ნოსტალგიურ დარდ-ოცნებებს თქვენ იწყებთ კამათს ისეთ რაღაცეებზე როგორიც არის ბიბლიის ჭეშმარიტება და ერის საკრალური ხასიათი (მით უმეტეს თუ ჩემს მსგავსად ცხოვრობთ იზრაელის მსგავს ადგილას). ვოლტერის დროს ბიბლიაზე კამათი აქტუალური იყო, ნაციონალიზმის ღირსებებზე ლაპარაკი აქტუალური იყო მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ 2018 წელში მსგავს საკითხებზე კამათი გავს დროის საშინლად კარგვას. ხელოვნური გონიერება და ბიო-ინჟინერია ცვლიან თვითონ ევოლუციის მიმდინარეობას და ჩვენ გვაქვს მხოლოდ რამოდენიმე ათწლეული იმის გასარკვევად თუ რა უნდა ვუყოთ ამას.

მე არ ვიცი თუ საიდან მოვა პასუხები, მაგრამ ისინი ნამდვილად არ მოვა ათასობით წლის წინ დაწერილი ისტორიებიდან. მაშ რა უნდა ვქნათ? უნდა ვიბრძოლოთ ორ ფრონტზე ერთდროულად. ჩვენ უნდა დავიცვათ ლიბერალური დემოკრატია არა მარტო იმიტომ რომ ისაა მის ყველა ალტერნატივაზე უფრო კეთილთვისებიანი რეჟიმი არამედ იმიტომაც რომ ლიბერალური დემოკრატია ყველაზე ნაკლებად ზღუდავს დებატს კაცობრიობის მომავლის შესახებ. ამავე დროს ჩვენ ეჭვს ქვეშ უნდა დავაყენოთ ლიბერალიზმის ტრადიციული თეორიები და უნდა შევქმნათ XXI საუკუნის მეცნიერულ რეალობებთან და ტექნოლოგიურ ძალასთან უკეთესად ადაპტირებული ახალი პოლიტიკური პროექტი. ბერძნული მითოლოგია ყვება რომ ორი უდიდესი ღმერთი ზევსი და პოსეიდონი დავობდნენ ქალღმერთი თეტისის გამო. მათ გაიგეს წინასწარმეტყველება რომლის თანახმადაც თეტისს ეყოლებოდა მის მამაზე უფრო ძლიერი შვილი და შეშინებულები გაიქცნენ. ღმერთებს უნდათ მუდამ უძლიერესებად დარჩენა და არ უნდათ მათზე უფრო ძლიერი შთამომავლობა. თეტისი მაშინ ცოლად გაყვა მეფე პელევსს და გააჩინა აქილევსი. მოკვდავებს უყვართ მათზე უფრო ძლიერი შვილები. ეს მითი გვასწავლის რაღაც მნიშვნელოვანს. მუდამ ბატონობის მსურველ ავტოკრატებს არ უყვართ გაჩენა იდეებისა რომელთაც შეუძლიათ მათი გადაადგილება. ლიბერალური დემოკრატიები კი ახალისებენ ახალი ხედვები შექმნას თუნდაც მათ საფუძვლებში დაეჭვების ფასად.

„მომავლის მოკლე ისტორია“ში ჰარარი გვაფრთხილებს, რომ ამდენი რევოლუცია რამოდენიმე ათწლეულში ადამიანებს მისცემენ მათი ბიოლოგიური საზღვრების გადალახვის, დაძლევის საშუალებას. გაჩნდება ადამიანი ღმერთი. მაგრამ ასევე იქნება უსარგებლო ადამიანებით სავსე სამყარო სადაც ადამიანს არ ექნება არანაირი ინდივიდუალური ავტორიტეტი და ის იქნება მართული გარეშე ალგორითმების მიერ. -ღია კარი უდიდესი უთანაბრობებისთვის. გაზრდილ-გაძლიერებულ არსებათა მცირერიცხოვანი ელიტა. მარტო ადამიანთა ძალიან მცირერიცხოვანი ელიტისთვის იქნება ხელმოსაწვდომი ახალი ტექნოლოგიებით ფიზიკური და მენტალური უნარების გაზრდა-გაძლიერება. მხოლოდ ამ მცირერიცხოვანი ელიტის წევრები დარჩებიან აუცილებელ, დაფასებულ და საკუთარი ინდივიდუალური ცხოვრების მქონე ამოუცნობ არსებებად. დანარჩენები დაიფერფლებიან, ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე რამედ ქცეულ მონაცემთა დამუშავების გლობალურ სისტემაში. გზადაგზა მოისპობა საყვარელი ძველი ლიბერალური იდეოლოგიაც რომელიც არსებითად ერთსა და იმავე ღირებულებას ანიჭებს ყოველ ადამიანს. კაცობრიობა დაიყოფა „ბიოლოგიურ კასტებად“ და იბატონებს ახალი ტექნოლოგიებით გაძლიერებულ „ზეადამიანთა ელიტა“ ...ადამიანები უფრო მოთხრობებით აზროვნებენ ვიდრე ფაქტებით, ციფრებით თუ განტოლებებით. რაც უფრო მარტივია მოთხრობა მით უკეთესი. ყველას, ყოველ ჯგუფს, ყოველ ერს აქვს თავისი ისტორიები და თავისი მითები. XX საუკუნეში ნიუ იორკის, ლონდონის, ბერლინის და მოსკოვის გლობალურმა ელიტებმა მოიგონეს სამი დიდი მოთხრობა რომელთაც უნდა აეხსნათ მსოფლიოს წარსული და ეწინასწარმეტყველებინათ მისი მომავალი: ფაშისტური მოთხრობა, კომუნისტური მოთხრობა და ლიბერალური მოთხრობა. მეორე მსოფიო ომმა მოსპო ფაშისტური მითი; 1940-ანი წლების ბოლოდან 1980-ანი წლების ბოლომდე ერთმანეთს ებრძოდნენ კომუნიზმი და ლიბერალიზმი. კომუნისტური მითი ჩაიფუშა. მსოფლიო ელიტამ ირწმუნა რომ ლიბერალიზმია წარსულის ამხსნელი და მომავლის მეგზური ჭეშმარიტება. ლიბერალური მითი ხოტბას ასხამს თავისუფლების ღირებულებას და ძალას. ამ მითის თანახმად ათასწლეულების მანძილზე კაცობრიობა ცხოვრობდა მჩაგვრელი რეჟიმების უღელქვეშ. ეს რეჟიმები ადამიანებს არ აძლევდნენ პოლიტიკურ უფლებებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ინდივიდუალურ თავისუფლებებს. ისინი დიდად ზღუდავდნენ პიროვნებათა და ობიექტთა გადაადგილებას. მაგრამ ხალხი იბრძოდა თავისი თავისუფლებისთვის. თანდათანობით მან მოიპოვა თავისუფლება. უხეში დიქტატურების მაგივრად გაჩნდა დემოკრატიული რეჟიმები. თავისუფალმა მეწარმეობამ დაამარცხა ეკონომიკური შეზღუდვები. ადამიანებმა ისწავლეს დამოუკიდებლად, საკუთარი თავით აზროვნება და საკუთარი გულისთვის ყურის გდება. ისინი აღარ ემორჩილებოდნენ ბრმად ფანატიკოს მღვდლებს და გახევებულ ტრადიციებს. დიდმა გზებმა, გამძლე ხიდებმა, ხალხმრავალმა აეროპორტებმა შეცვალეს გალავნები, კედლები, გისოსები.

მაგრამ 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ მთელი მსოფლიოს მკვიდრებმა დაიწყეს ლიბერალიზმის თაობაზე ილუზიების დაკარგვა. ისევ გაჩნდა მოდა კედლებზე, გამაფრთხილებელ ნიშნებზე და შემაკავებელ კონსტრუქციებზე. გაძლიერდა მოძრაობა იმიგრაციის და კომერციულ შეთანხმებათა წინააღმდეგ. დემოკრატიული მთავრობები ძირს უთხრიან მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, ზღუდავენ პრესის თავისუფლებას და ოპოზიციის ნებისმიერ ფორმას აიგივებენ ღალატთან. დასრულდა, ლიბერალური დემოკრატიის, მეტიც, დიქტატურის დამყარების ექსპერიმენტები. დღეს ცოტა ვინმე თუ გაბედავს იმის თქმას რომ ჩინეთი არის ისტორიის ცუდ მხარეს... 2016 წელი, დიდ ბრიტანეთში ბრექსიტის და აშშ-ში ტრამპის არჩევის წელი იყო დრო როდესაც ილუზიების დაკარგვის უზომო ტალღამ შეაღწია დასავლეთი ევროპის და ჩრდილოეთი ამერიკის ლიბერალური სახელმწიფოების გულში. სულ რამოდენიმე წლის წინ ამერიკელები და ევროპელები ისევ ცდილობდნენ ერაყის და ლიბიის ლიბერალიზებას იარაღის ძალით, ამიერიდან კი ბევრი ადამიანი ფიქრობს რომ ლიბერალური ხედვა





არასასურველია თუ მიუწვდომელია. ზოგს ისევ შეუყვარდა ძველი იერარქიული სამყარო და მათ უბრალოდ არ უნდათ თავისი რასის, თავისი ერის თუ თავისი სქესის პრივილეგიების უარყოფა. სხვებმა დაასკვნეს რომ ლიბერალიზაცია და მონდიალიზაცია არის მასების გაძარცვა პატარა ელიტის მიერ. 1938 წელს ადამიანებს ჰქონდათ არჩევანი სამ დიდ მითს შორის, 1968 წელს დარჩა მარტო ორი დიდი მითი. 1998 წელს ისე ჩანდა თითქოს უნდა გაემარჯვა ერთ დიდ მითს. 2018 წელს საერთოდ აღარაა მითი. არაა გასაკვირი რომ მსოფლიოს დიდ ნაწილში ბოლო ათწლეულებში გაბატონებული ლიბერალი ელიტები შოკში ჩაცვივდნენ და დაბნეულები არიან. აღარაფერსა აქვს აზრი. მითის არსებობა ამშვიდებს. ყველაფერი ნათელია. მითის მოულოდნელად დაკარგვა ზარდამცემია. ლიბერალურ ელიტებს, დაახლოებით ისევე როგორც 1980-ანი წლების საბჭოთა ელიტას, არ ესმით თუ როგორ გადავარდა ისტორია წინასწარ გაყვანილი გზიდან და არაა სხვა საშუალება რეალობის ასახსნელად. დაბნეული ლიბერალი ელიტები ფიქრობენ აპოკალიპტური ცნებებით, თითქოს ისტორია გვიბიძგებს არმაგედონისკენ იმიტომ რომ მას არა აქვს ბედნიერი ბოლო. რეალობასთან დაბრუნების უნარის არმქონე ირჩევს კატასტროფულ სცენარებს. ძლიერი თავის ტკივილით გატანჯულს გონია რომ მას აქვს ტვინის კიბო უკანასკნელ ფაზაში. ბევრ ლიბერალსაც ასევე ბრექსიტი და დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება წარმოუდგენია ცივილიზაციის დასასრულის ნიშნებად. და მივედით იქამდე რომ ახალი ტექნოლოგიების- ხელოვნური ინტელექტის, ბიოტექნოლოგიის, შორიდან სახით და ხმით ამოცნობის ტექნიკათა კომბინაცია დიქტატორულ რეჟიმს მისცემენ მოქალაქეთა მუდმივად, უწყვეტად თვალთვალის და მეთვალყურეობის შესაძლებლობას. ამან შეიძლება გააჩინოს სტალინიზმზე და ნაციზმზე უარესი ტოტალიტარული რეჟიმები და ჩვენ არა გვაქვს დიდი დრო ამის გასაჩერებლად.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# რომელი ნოტი აუვარდა თავში ანიტა რაჭველიშვილს?

ანიტა რაჭველიშვილი სამუსიკო სცენაზე, როგორც პოპულარული საოპერო მომღერალი, დიდი ხანი არ არის, რაც გამოჩნდა და მას, ფაქტობრივად, იმის გარდა, რომ ქართველია, ქართული ხელოვნებისთვის დიდი ღვაწლი ჯერ არ დაუდია. გასაგებია, რომ ყველაფერი წინაა, მაგრამ დღეს რომ საკუთარ თავს და საკუთარ ხმას გვამადლის და თან გვემუქრება, მერე რას იზამს, ხომ წარმოგიდგენიათ.

ღმერთს მადლობა, რომ ანიტას კარგი ხმა აქვს, მაგრამ ჩვენ ამით რა, რატომ აძლევს საკუთარ თავს



იმის უფლებას, რომ ხელისუფლება აკრიტიკოს, რა გაუკეთებია მამულიშვილური, იმის გარდა, რომ ნაცების პროვოცირებულ მიტინგზე იმღერა და ქართველთა შეურაცხმყოფელი სააკაშვილის მხარდამჭერებს თანაუგრძნობს.

ის ხელოვანია და მინდა ვკითხო: რომელ ესთეტიკურ ღირებულებებში შედის ეროვნული იდენტობის დამქცევთა და გამნადგურებელთა გვერდით დგომა, მწამებელთა და გამაუპატიურებელთათვის ტაშის დაკვრა, ირინა ენუქიძის, ია მეტრეველის და სხვა გაუბედურებული დედების შვილების მკვლელების ხელისუფლებისთვის მხარდაჭერა და მეგობრობა?

მართლია, „ქართული ოცნება“ არაა იდეალური ხელისუფლება, მაგრამ ანიტა რაჭველიშვილს და მისთანების ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველისო, ხომ გაგიგონიათ. რაჭველიშვილი რომ ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკობს, მართლა საოცარი ამბავია, რადგან რაც უნდა ვინმეს გულზე ხვდებოდეს, ფაქტი ჯიუტია. არც ერთ სტატისტიკას და ლოგიკას არ შეუძლია გაუძლოს ბიძინა ივანიშვილის ოპონენტების არგუმენტებმა, თითქოს ამ კაცმა დაანგრია ქვეყანა, რადგან არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია იმდენი ამ ქვეყნისთვის, რაც ერთმა კაცმა, ერთმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა!...

მოკლედ, რომელიღაც ნოტი თავში აქვს ავარდნილი ქალბატონ რაჭველიშვილს და რადგან კარგ მომღერლად აღიარეს და როგორც თვითონ გვაუწყებს, მსოფლიოს ყველა წამყვანი თეატრის სცენაზე აქვს ნამღერი, თაყვანი უნდა ვცეთ. თან ეჩვენება, რომ მას საქართველოს ხელისუფლება ებრძვის და ფეისბუკის საკუთარ გვერდზე წერს: „მე ვერაფრით შემაშინებენ!“ იმუქრება კიდეც: „ფრთხილად იყავით, თქვენთვისვე აჯობებსო“. მუქარას ავიტანთ, როგორმე, ჩვენც და ხელისუფლებაც, მაგრამ ბერა ივანიშვილი რაღა შუაში იყო, სულ საცოდავი და ნაძირალა კრეტინი რომ ეძახა.

რა ვქნა, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო კითხვა: რა დამსახურებისთვის გვიყურებს ანიტა რაჭველიშვილი ქართველებს მაღლიდან, რატომ თვლის, რომ მას აქვს თუნდაც ერთი მოქალაქის ლანძღვის და თათხვის უფლება.

რაც შეეხება ბერა ივანიშვილის მიერ ამაზონის ტყის გადასარჩენად გადარიცხული თანხას.

ჯერ ერთი, ფული ბერასია და სადაც უნდა იქ გადარიცხავს, მეორეც, ბერას ქორწილზე შემოსული თანხა ყველა უკვლებლივ ბავშვთა საქველმოქმედო ფონდში რომ გადაირიცხა, იმაზე არაფერი უთქვამს ანიტას და ამაზონის ტყის დაცვის ფონდში გადარიცხულ ფულზე რატომაა მიდარაჯებული?! და მესამე, საქართველო რომ არ გამოაკლდა მსოფლიო ტრაგედიას და ერთმა კაცმა თავისი ჯიბიდან გადახდილი ფულით რომ ჩვენი ქვეყანა წარმოაჩინა, ის არ ეამაყება, რომ ჰკითხო, საქართველოს გულშემატკივარია. ისემც ანიტას რა ვუთხარი, როგორც საქართველოს გულშემატკივარი კი არა, ნაცების ჯორის კუდი იყოს.



არაჯანსაღი სქესობრივი მიდრეკილებების შემცველი სიუჟეტის მქონე ფილმს, რომელმაც დიდი ღელვა და ხმაური გამოიწვია საქართველოში, ქალბატონი რაჭველიშვილიც გამოეხმაურა და მისი აზრით, კომპეტენტური სიტყვა თქვა — „ეს არის ხელოვნების ნიმუში და ზედმეტი კამათის და განხილვის საგანი არ უნდა იყოსო“. ხელოვნების ნიმუში რომ სწორედ საზოგადოების განხილვის საგანი უნდა იყოს, ეს რომ არ იცის, ფაქტია და „უფრო მწარე კიდევ ის არის“, რომ ამ ხელოვან ქალბატონს ხელოვნებაზე და კულტურაზე მცდარი, მდაბიო და ინტელექტსმოკლებული დამოკიდებულება აქვს. რა გასაკვირია, ისედაც ამბობენ მისი ნაცნობ-ახლობლები — დიდი უწიგნური ვინმეაო.

საყოველთაოდ ცნობილია, ჰოლივუდში ოსკარის ნომინაციებზე და სხვა პრესტიჟულ ჯილდოებზე ამერიკასა და დასავლეთში წარმატების მიღწევისა და ჯილდოს მიღების მთავარი გარანტია, ხშირად, არანორმალური სექსუალური ორიენტაციის ხელოვნებად ქცევა და აღიარება ითვლება. ბოლო წლების სამწუხარო ტენდენცია გახდა ეს. დაფინანსებული და წახალისებულია გეი და ლესბომიმართულებების ფილმები, სპექტაკლები, სახვითი თუ მხატვრული ნამუშევრები, გეი მომღერლები უკვე ყველგან წარმატებებს აღწევენ. სამწუხარო იქნება, თუ ქალბატონი რაჭველიშვილიც მათთვის სოლიდარობის გამო კარიერას აიმაღლებს...

იმის გარდა, რომ, როგორც ამბობენ, ქალბატონი ანიტა არის ამპარტავანი და ნაცთა მომხრე, ათეისტიც ყოფილა, რადგან ერთნაირსქესიანთა სიყვარულს არათუ ქრისტიანობა, ყველა რელიგია გმობს.

ქვეყანას რომ უჭირდა და სააკაშვილის უღელის ქვეშ რომ ღვრიდა სისხლს, მაშინ არ ამოუღია ხმა. ერთი ნაცების დროს ეკრიტიკებინა მთავრობა, 26 მაისს ხორხი რომ ამოაცალეს კაცს, იმის შესახებ თუ სმენია, ნეტავი რამე.

ნაციონალობა სტიგმა არ არის, მაგრამ მკვლელებს, ტყეებში გამოთხრილ ბუნკერებში ხალხის ჩამმწყვდევებს და იქ კაცების გამაუპატიურებლებს, უდანაშაულო ყმაწვილი ბიჭების ქუჩაში დამხვრეტებს, „ორი გვამი მჭირდება“ პოლიტიკით მმართველ ძალას, 26 მაისის და 7 ნოემბრის სისხლიანი ღამის მომწყობებს, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილებს, ბიუჯეტის გამძარცველებს, სახელმწიფო რეკეტიორებს და ყაჩაღებს გვერდით რომ უდგას და ემეგობრება, ის ადამიანი მსოფლიო ხელოვნების კორიფეც რომ იყოს, როგორ შეიძლება საზოგადოებას უყვარდეს და მის სიტყვას ანგარიშს უწევდეს? ამიტომ ტყუილად ემუქრება მთავრობას და საზოგადოებას ანიტა რაჭველიშვილი. თავისი წარმატებები, აწი, ნაციონალურ სექტაში იზეიმოს, ქართული საზოგადოების სიმპათია, რომელიც ყველაზე დიდ ჯილდოდ მიმაჩნია, მან უკვე დაკარგა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001